

ვიზი პილანვედროაშა
პეზღუღუღი
პელაქდევროზის პაოწე
პირავისთვის
საქართვედროაი:

იეკომენდაციები

მოიგენ მეიეჰოფ ნიღსენი
UNU-EGOV





UNITED NATIONS
UNIVERSITY

UNU-EGOV

Operating Unit on Policy-Driven
Electronic Governance



UN for
Persons with
Disabilities
in Georgia



ვებ პისანვდრობა ხეზღუდული ხესაქდეზდრობის აქონე პირეზისტენის საქარტვედროზი:

ხეკომენდაციები

ანგარიში მომზადებულია საქარტველოს პარლამენტთან თანამშრომლობის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდის პოზიციას.

31 მაისი 2021

დოკუმენტის ნომერი: RLA 2020/244

ნარმდგენი:

გაეროს უნივერსიტეტი

პოლიტიკაზე ორიენტირებული ელექტრონული მმართველობის ოპერაციული

განყოფილება (UNU-EGOV)

კამპუს დე კუროსი, რუა ვილა ფლორი 166

4810-445 გიმარეისი, პორტუგალია

<https://egov.unu.edu/>

სარჩევნი

მიმოხილვა	5
1. შესავალი.....	7
1.1. რატომ არის ვებ მისაწვდომობა მნიშვნელოვანი?.....	7
1.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები საქართველოში.....	7
2. რეკომენდაციები.....	10
2.1. სამართლებრივი და რეგულაციების კომპონენტები	10
2.2. გამოყენებადობის და ვებ მისაწვდომობის სტანდარტი	14
2.3. მმართველობისა და შესაბამისობის ჩარჩო	15
დანართი 1.....	17
დანართი 2.....	30

აიპოსილვა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ვებ მისაწვდომობასთან დაკავშირებით საქართველოში არსებული მდგომარეობისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შეფასების პროცესში გამოვლინდა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ მონაცემები შეზღუდული და ფრაგმენტულია. სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირთა შესახებ კონკრეტული სტატისტიკის არარსებობა შეუძლებელს ხდის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი ოჯახების პრობლემებისა და საჭიროებების შესახებ რეალური სურათის დანახვას. მაგალითად, არ არსებობს კონკრეტული მონაცემები საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ სქესის, ასაკობრივი ჯგუფების, შემოსავლების ან განათლების დონის მიხედვით. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში ჯანდაცვის სამინისტრო) შეფასებით, 2020 წლის ოქტომბრის მდგომარეობით, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსთან დაკავშირებული სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღებად რეგისტრირებულია 127,132 პირი (2015 წლის მარტის მდგომარეობით აღნიშნული მონაცემი იყო 118,651). აღნიშნული მონაცემი მნიშვნელოვნად ჩამორჩება გლობალურ შეფასებებს, რომლის თანახმად მსოფლიო მოსახლეობის 10-15%-ს აქვს რაიმე ფორმის მუდმივი ან დროებითი შეზღუდვა.

2021 წლის მარტში პროექტის ფარგლებში ორი ონლაინ კვლევა ჩატარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემისა და იმ დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რომლებიც მუშაობენ საქართველოში შეზღუდული შესაძლებ-

ლობის მქონე პირთა თემთან ან წარმოადგენენ მათ. აღნიშნულმა კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთაგან მესამედს არ ჰქონია კონტაქტი საჯარო სექტორთან უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში, რაც ხაზს უსვამს საქართველოში თემის წევრთა რაოდენობის პოტენციურ არასათანადო შეფასებას. გამოკითხულთაგან 10-დან 8 შპმ პირი ოჯახთან ერთად ცხოვრობს. მეოთხედი უმუშევარია, მათი ნახევარი 2,999 ლარზე ნაკლები წლიური შემოსავლით ცხოვრობს და გამოკითხულთა უმრავლესობა სახელმწიფო პენსიაზე ან ოჯახის ფინანსურ დახმარებაზე დამოკიდებული. რესპონდენტები მიუთითებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემს ძირითადად წვდომა აქვს მობილურ ტელეფონებზე, თითქმის ნახევარი იყენებს ლეპტოპებსა და კომპიუტერებს რეგულარულად. გამოკითხული პირები უპირატესობას ანიჭებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას და ურჩევნიან, რომ მათ თავად ჰქონდეთ სახელმწიფო სერვისებზე წვდომა ინტერნეტით, ტელეფონით ან ფიზიკურად (ამ თანმიმდევრობით). დაინტერესებულ მხარეთა კვლევა ძირითადად იზიარებს შპმ თემის პოზიციას, განსაკუთრებით ეკრანის წამკითხველის გამოყენებასა და მობილური ტელეფონების საშუალებით ინტერნეტზე წვდომასთან დაკავშირებით. დაინტერესებულ მხარეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმრავლესობა, სქესის, ასაკობრივი ჯგუფისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, აწყდება ინფორმაციასთან წვდომისა და ვებ მისაწვდომობის გამოწვევებს. შესაბამისად, არსებული გარემოებების გამო და თავიანთი სურვილის მიუხედავად, მათ უწევთ საჯარო სერვისების მისაღებად სხვა პირების დახმარება გამოიყენონ.

საქართველოში საჯარო და კერძო ვებგვერდების შერჩეული რაოდენობის ვებ მისაწვდომობის მარტივი შეფასებით დადგინდა, რომ არცერთი მათგანი სრულად არ შეესაბამება მსოფლიო ქსელის კონსორციუმის (W3C) ვებ კონტენტის მისაწვდომობის სახელმძღვანელო მითითებების (WCAG) AA დონეს¹. საჯარო სექტორის ვებგვერდები ზოგადად უკეთესად ფუნქციონირებენ თავიანთ ეკვივალენტ კერძო სექტორის ვებგვერდებთან შედარებით. WCAG სტანდარტთან შესაბამისობის ნაკლებობა ნაწილობრივ განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული სტანდარტი ამჟამად საქართველოში არ არის დაინერგული. საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან შედარებით, საქართველოს სამთავრობო საიტები ცუდად არ ფუნქციონირებენ, თუმცა, არაერთი მიმართულებით არსებობს გაუმჯობესების პოტენციალი, სულ მცირე, გაეროს შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციით (CRPD) საქართველოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან მიმართებით.

პროექტის მიგნებების გათვალისწინებით, საქართველოს რეალობისთვის შემუშავდა სამი რეკომენდაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში კონვენციის (CRPD) იმპლემენტაციას და გააუმჯობესებს შშმ პირებისთვის ვებ მისაწვდომობას.

პირველ რიგში, საქართველომ უნდა მიიღოს **შესაბამისი სამართლებრივი და მარეგულირებელი კომპონენტები** და შესაბამისი ისინი ევროკავშირის მიდგომას და WCAG სტანდარტს. მიზანშეწონილია, რომ საქართველომ უზრუნველყოს ევროკავშირის 2016/2102 დირექტივის ასახვა მის ეროვნულ კანონმდებლობაში, საჯარო

დანესებულებებისა და ყველა არასაჯარო ორგანიზაციის ვებსაიტების და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ სპეციალური კანონის (რეკომენდებულია), ან რეგულაციის მიღების გზით.

მეორე, ყველა სახელმწიფო უწყებისთვის **ონლაინ გამოყენებადობა და ვებ მისაწვდომობის სტანდარტი**, მათ შორის WCAG სტანდარტი, AA დონე, უნდა დაინერგოს. აღნიშნული საქართველოს დაახლოვებს საერთაშორისო და ევროკავშირის პრაქტიკასა და მოთხოვნებთან. რეკომენდებულია, აღნიშნული წარმოადგენდეს ციფრული მმართველობის სააგენტო (ცმს) პასუხისმგებლობას, რომელიც ინიციატივის სახით უნდა აისახოს 2021-2024 წლების ციფრული მმართველობის სტრატეგიაში. გაფართოებული მანდატისთვის სააგენტო უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი რესურსით.

მესამე, საქართველოში უნდა დაინერგოს მმართველობის და შესაბამისობის დამდგენი ჩარჩო, რომელიც ხელს შეუწყობს ონლაინ გამოყენებადობის და ვებ მისაწვდომობის გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს საჯარო სექტორის ონლაინ სერვისებზე. ასევე მიზანშეწონილია, ცმს-ის არსებული მანდატის გაძლიერება, რომელიც უზრუნველყოფს ონლაინ გამოყენებადობისა და ვებმისაწვდომობის სტანდარტთან დაკავშირებული სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს მონიტორინგს და შესაბამისობის დადგენას. აუცილებელია გაფართოებული მანდატისთვის სააგენტოს სათანადო რესურსით უზრუნველყოფა.

1. W3C WCAG არის სტანდარტი ვებ მისაწვდომობისთვის. ეს არის ვებ მისაწვდომობისა და კარგი მომხმარებლის დიზაინის განმსაზღვრელი ძირითადი საერთაშორისო სტანდარტი. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ნაწილი 3.1., გვერდები 18-19.

1. შესავალი

1.1. ხაზომ ახის ვებ მისაწვდომობა მნიშვნელოვანი?

შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ (CRPD) გაეროს კონვენცია აღიარებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) კრიტიკულ მნიშვნელობას შშმ პირთა ჩართვისა და გაძლიერებისთვის, ისევე როგორც, სხვებთან თანაბარ პირობებში, ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სრულად სარგებლობის ხელშესაწყობად.

1.2. შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირობები საქართველოში

შებენიანი შესაძლებლობის შესახებ მონაცემები საქართველოში ძალიან შებენიანი და ფრაგმენტულია. ჯანდაცვის სამინისტროს შეფასებით, 2020 წლის ოქტომბერში 127,132 ადამიანი დარეგისტრირდა შებენიანი შესაძლებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღებ პირად (2015 წლის მარტის მდგომარეობით აღნიშნული მონაცემი იყო 118,651)², რაც საქართველოში მცხოვრები მთლიანი მოსახლეობის 3%-მდეა. აღნიშნული მონაცემი მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც მსოფლიო ბანკის, ასევე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო - WHO) უფრო კონსერვატიულ შეფასებებს, რომლის მიხედვითაც შებენიანი შესაძლებლობის გლობალური მაჩვენებელი დაახლოებით 10%-ია^{3,4}. თუ ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით დათვლილ შშმ პირთა რაოდენობას შევადარებთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის⁵ 10% გლობალურ შეფასებას, 2020 წლის მდგომარეობით იმ ქართველთა რაოდენობა, ვისაც რაიმე ფორმის ან ხარისხის შებენიანი აქვს, დაახლოებით 398,000-ია. თუ მსოფლიო ბანკის (2020) 15%-იან შეფასებას გამოვიყენებთ, აღნიშნული რიცხვი გაუტოლდება 600,000, რაც თბილისის მოსახლეობის დაახლოებით ნახევრის ექვივალენტია.

2021 წლის თებერვალ-მარტში შშმ პირებისთვის ჩატარებულ ონლაინ გამოკითხვაში, შშმ თემთან მიმართებით არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი გამოვლინდა⁶. მართალია, აღნიშნული სტატისტიკურად მყარი მონაცემი არ არის (ნიმუშის ზომის გამო), მაგრამ ის არაერთ საინტერესო მოსაზრებას ავლენს. გამოკითხულთა თითქმის 90% 19-დან 59 წლამდე ასაკისაა, აქედან 72% ცხოვრობს თბილისში და 78% ქალაქებში, სადაც 200,000 ან მეტი მოსახლეა. 86% - ოჯახთან ერთად ცხოვრობს და მხოლოდ 8.3% ცხოვრობს მარტო. გამოკითხულთა ნახევარმა აღნიშნა, რომ მათი წლიური შემოსავლის დონე 2,999 ლარამდეა,

2. ჯანდაცვის სამინისტრო (2020). სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით.

3. IDFI (2015)

4. UNDP (2019)

5. UNDP (2019)

6. ვებ მისაწვდომობა საქართველოში შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთათვის (2021 წ.). გამოკითხვა განხორციელდა 2021 წლის თებერვალ-მარტში ონლაინ რეჟიმში. კვლევის ნიმუშების რაოდენობა იყო 36. გამოკითხვის კითხვები და პასუხები მოცემულია ცალკე ანგარიშში.

22.2% ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფო პენსიებზე და 13.9% იღებს ფინანსურ დახმარებას ოჯახისგან. შშმ რესპონდენტთა 47.2% დასაქმებულია კერძო სექტორში, 25% უმუშევარია, 8.3% სახელმწიფო უწყების თანამშრომელია, ანალოგიური რაოდენობის შშმ პირები თვითდასაქმებულები არიან, 2.8% კი სწავლობს.

გამოკითხულთა 33%-ს ბოლო 12 თვის განმავლობაში არ ჰქონია რაიმე სახის შეხება რომელიმე სახელმწიფო უწყებასთან, 58.4%-ს კონტაქტი მინიმუმ ორჯერ ჰქონდა, 38.9%-ს კი - ხუთზე მეტჯერ ჰქონდა კონტაქტი გასული წლის განმავლობაში. ეს ხაზს უსვამს სახელმწიფო დახმარების აუცილებლობას, მაგრამ ამავედროულად, აჩვენებს, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებში ყველა შშმ პირი არ არის დაფიქსირებული.

არაერთი ქცევითი და პრეფერენციული ტენდენცია ჩნდება შშმ თემის ონლაინ გამოკითხვაში. გამოკითხულთა უმრავლესობას ურჩევნია სამთავრობო უწყებებთან წვდომა ჰქონდეთ ინტერნეტით და დამოუკიდებლად. ამას მოყვება ტელეფონით ან სახელმწიფო უწყებებთან ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა. უფრო დაბალია პერსონალური ასისტენტის დახმარებით კონტაქტის სურვილი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირები მიზნად ისახავენ დამოუკიდებლად ცხოვრებას ოჯახის და მეგობრების სპეციალური დახმარების გარეშე.

რაც შეეხება წვდომას, მობილური ტელეფონები ყველაზე გავრცელებული ციფრული მოწყობილობაა, რომელზეც საქართველოში მცხოვრებ შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ წვდომა და რომლითაც ისინი სარგებლობენ. 61%-ზე მეტი რესპონდენტი იყენებს ტელეფონს. ამას მოყვება ლეპტოპები, რომელსაც რესპონდენტთა ნახევარი იყენებს, ხოლო ათიდან 4 რესპონდენტი კომპიუტერს იყენებს. პლანშეტების და სხვა მოწყობილობების გამოყენების მაჩვენებელი დაბალია. ოჯახთან კომუნიკაციისთვის პირადი ინტერაქცია დომინირებს, კერძოდ, რესპონდენტთა 75% მიუთითებს, რომ აღნიშნული ურთიერთობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. შედარებისთვის, ტელეფონით და ინტერნეტის მეშვეობით კონტაქტის დამყარება გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარმა დაასახელა.

მხედველობის სირთულის მქონე ქართველები ძირითადად იყენებენ ეკრანის წამკითხველს და ვებგვერდების ხმამაღლა წამკითხავ ფუნქციებს, მაგრამ ხშირად ასევე ჰყავთ პერსონალური ასისტენტი. გამოკითხული რესპონდენტები უპირატესობას პირველ მათგანს ანიჭებენ ონლაინ შინაარსის აუდიო თარგმანთან ერთად. ქართველები, რომელთაც მოძრაობის სხვადასხვა ფორმის შეზღუდვა აქვთ, იყენებენ ისეთ მნიშვნელოვან საშუალებებს, როგორც კონტაქტით აღჭურვილი მოწყობილობები, მათ შორის თავსაცვი (mouthpieces), ხმოვანი და აუდიო აღწერის ფუნქციის მქონე აპარატები. უპირატესობა ენიჭება მსგავს ინსტრუმენტებს, მაგრამ ასევე ვებსაიტებზე ჩაშენებულ აუდიო აღწერის გაუმჯობესებულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ხმამაღლა წამკითხავ ფუნქციებს. სმენითი დარღვევის მქონე ქართველები ვიდეოებზე ქვესათაურებს, აუდიოს ტექსტის ტრანსკრიპტს და ალტერნატიულ ტექსტებს ეძებენ. ასევე ეძებენ ჟესტურ ენას. აღნიშ-

ნული ასევე წარმოადგენს სასურველ შესაძლებლობას ეკრანის წამკითხველთან ერთად კოგნიტური დარღვევის მქონე ქართველები დახმარებას სხვებისგან (მაგალითად, ოჯახის წევრები და მეგობრები) იღებენ, მაგრამ ასევე იყენებენ ხმამაღლა წამკითხველ და ხმოვანი ფუნქციის პროგრამულ უზრუნველყოფას. ინფორმაციისა და მომსახურების მისაღებად უპირატესობა ენიჭება პერსონალური ასისტენტის ყოლას და ალტერნატიულ საშუალებებს.

2. რეკომენდაციები

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ვებ მისაწვდომობის კუთხით არსებული მდგომარეობის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანგარიშზე და დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციებზე დაყრდნობით შემუშავდა 3 ძირითადი რეკომენდაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის იმპლემენტაციას და შშმ პირებისთვის ვებ მისაწვდომობის გაუმჯობესებას. კერძოდ, საქართველომ უნდა:

1. მიიღოს შესაბამისი **სამართლებრივი და მარეგულირებელი კომპონენტები** და შეუსაბამოს ისინი EU-ს მიდგომას და WCAG სტანდარტს.
2. დანერგოს ყველა სახელმწიფო უწყებისთვის ონლაინ **გამოყენებადობის და ვებ მისაწვდომობის სტანდარტი**, მათ შორის WCAG სტანდარტი, დონე AA.
3. მიიღოს **მმართველობის და შესაბამისობის დამდგენი ჩარჩო დოკუმენტი**, რომელიც ხელს შეუწყობს ონლაინ გამოყენებადობის და ვებ მისაწვდომობის გაუმჯობესებას. ამასთან, მნიშვნელოვანია განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდეს საჯარო სექტორის ონლაინ სერვისებზე.

2.1. სამართლებრივი და რეგულაციების კომპონენტები

დასახელებული რეკომენდაციების შესასრულებლად საჭიროა საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოს ჰარმონიზაცია.

პირველ რიგში რეკომენდებულია, რომ ნებისმიერი კანონმდებლობა, რომლის მიღებაც საქართველოში იგეგმება, შეესაბამებოდეს როგორც ვებსაიტებისა და მობილური პროგრამების მისაწვდომობის ოთხ პრინციპს, ასევე ონლაინ შინაარსს და ტრანსაქციულ ელექტრონულ სერვისებს - როგორც ეს ევროკავშირის 2016/2012 დირექტივითაა დადგენილი. კერძოდ:

- აღქმადობა, ანუ ინფორმაცია და მომხმარებლის ინტერფეისის კომპონენტები მომხმარებლისათვის უნდა იყოს წარმოდგენილი იმ ფორმით, როგორც ისინი აღიქმებიან;
- ოპერატიულობა, რაც ნიშნავს, რომ მომხმარებლის ინტერფეისის კომპონენტები და ნავიგაცია უნდა იყოს ოპერატიული და პრაქტიკული;
- გასაგებობა, ანუ ინფორმაცია და მომხმარებლის ინტერფეისის მოქმედება უნდა იყოს გასაგები, და;
- სიმტკიცე, ანუ შინაარსი უნდა იყოს საკმარისად მტკიცე და ძლიერი, რომ საიმედოდ იქნეს განმარტებული მომხმარებელთა ფართე წრისთვის დამხმარე ტექნოლოგიების ჩათვლით.

მეორე, კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების იმპლემენტაციის ხელშესაწყობად:

1. საქართველომ მისი სამართლებრივი და მარეგულირებელი მიდგომა უნდა შეუსაბამოს EU-ს მიდგომას და ამ მიზნით, უნდა უზრუნველყოს დირექტივის (EU) 2016/2102 ასახვა მის ეროვნულ კანონმდებლობაში, საჯარო დაწესებულებების და ყველა არასაჯარო ორგანიზაციის ვებსაიტებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ სპეციალური კანონის მიღების გზით (რეკომენდებულია), ან საჯარო დაწესებულებებისა და ყველა არასაჯარო ორგანიზაციის ვებსაიტებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ რეგულაციის მიღების გზით. ტერმინი არასაჯარო ორგანიზაციები მიემართება ყველა ერთეულს, მათ შორის კერძო, არაკომერციულ და სხვა სახის კომპანიებს და ორგანიზაციებს.
2. საქართველომ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ICT მოწყობილობა და გადაწყვეტიც იყოს უნივერსალურად მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და შეზღუდვის არმქონე პირებისთვის, მათ შორის:
 - a. საჯარო სექტორის რეგულაციები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ელექტრონულ კომუნიკაციებზე შშმ პირთათვის თანაბარი მისაწვდომობა (მათ შორის არჩევანის და მისაწვდომობის კუთხით) უნდა შეესაბამებოდეს [მომხმარებელთა უფლებების შესახებ ევროკავშირის დირექტივას \(2209/136\)](#) და [უნივერსალური მომსახურებისა და ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებისა და სერვისების მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივას 2002/22 \(საყოველთაო მომსახურების დირექტივა\)](#). ასევე, უნდა შეესაბამებოდეს [შესწორებული აუდიოვიზუალური მედია სერვისების შესახებ დირექტივას 2018/1808](#) აუდიო-ვიზუალური მედია სერვისების პროვაიდერებთან, მათ შორის, გადაუდებელი დახმარების სამსახურებთან დაკავშირებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისაწვდომობის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.
 - b. კერძო სექტორისთვის მიღებულ უნდა იქნეს სტანდარტი ICT პროდუქტებსა და მომსახურებაზე მისაწვდომობის მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომელიც, თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს [ევროპის მისაწვდომობის აქტს \(2019/882/EU\)](#) და [ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსს \(დირექტივა 2018/1972\)](#). პირველი დირექტივა, არეგულირებს საჯარო და კერძო სექტორში მისაწვდომობას ისეთ ძირითად პროდუქტებსა და სერვისებზე, როგორიცაა კომპიუტერები, სმარტფონები, პლანშეტები, ტელევიზორები, ბანკომატები და საბანკო სერვისები, გადახდის ტერმინალები, ელექტრონული წიგნები და ელექტრო საკითხავი, ელექტრონული კომერციული ვებსაიტები, აპლიკაციები, ელექტრონული სერვისები და ბილეთების აპარატები. მეორე დირექტივა არეგულირებს ელექტრონულ კომუნიკაციებზე, როგორიცაა სატელეფონო ქსელი, ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა, სხვებთან თანაბარ პირობებში მისაწვდომობის საკითხებს.

საქართველოში ახსებუდი სამაჩილებიჩივი ჩაჩრო

საქართველოში შებენიანი შესაძლებლობის მქონე პიჩებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება შემდეგი აქტებით:

- [საქართველოს კანონი შებენიანი შესაძლებლობის მქონე პიჩთა უფლებების შესახებ](#)

საქართველოში ელექტრონულ კომუნიკაციასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება შემდეგი აქტებით:

- საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ
- [საქართველოს კანონი ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ](#)

ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ზედამხედველობის სტრატეგიული და ოპერაციული მანდატი გააჩნიათ შემდეგ ინსტიტუციებს:

- იუსტიციის სამინისტრო
- კომუნიკაციების ეროვნული კომისია
- ციფრული მმართველობის სააგენტო (დაფუძნებულია [საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ საქართველოს კანონით](#))

საჯარო სექტორის ვებგვერდების და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ 2016 წლის 26 ოქტომბრის ევრო დირექტივის (EU) 2016/2102 დანერგვა

პირველი რეკომენდაციის შესასრულებლად და მეორე და მესამე რეკომენდაციებით გათვალისწინებული მანდატის შესაქმნელად [ევრო დირექტივა \(EU\) 2016/2102](#) უნდა დაინერგოს ეროვნულ კანონმდებლობაში. დირექტივის (EU) 2016/2102 დანერგვით საქართველოში საჯარო სექტორის ვებგვერდების და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის მინიმალური სტანდარტები დაწესდება, რომელიც თანხვედრაში იქნება ევროპულ და გლობალურ საუკეთესო პრაქტიკასთან. დანერგვის პრაქტიკა განსხვავებულია ევროპის ქვეყნებში. ქვეყნების უმრავლესობამ მიიღეს კანონები (*lex specialis*) დირექტივის დებულებების შიდა კანონმდებლობაში ასახვისთვის. ასეთ ქვეყნებს მიეკუთვნება [ბელგია](#), [ჩეხეთი](#), [დანია](#), [ესპანეთი](#), [საფრანგეთი](#), [ხორვატია](#), [კვიპროსი](#), [ლუქსემბურგი](#), [უნგრეთი](#), [პოლონეთი](#), [პორტუგალია](#), [რუმინეთი](#) და [ფინეთი](#). ევროპული ქვეყნების მეორე დიდმა ჯგუფმა მიიღო რეგულაცია, ეს ქვეყნებია: [ესტონეთი](#), [ლატვია](#), [ლიეტუვა](#), [მალტა](#) და [ნიდერლანდები](#). ევროპის სხვა ქვეყნებმა ევრო დირექტივა უმეტესად დანერგეს ელექტრონული კომუნიკაციებისა და მართველობის შესახებ არსებული კანონმდებლობის ცვლილებით. თითქმის ყველა შემთხვევაში საჭირო გახდა დამატებითი ცვლილებების განხორციელება. აღნიშნული მოიცავდა, მაგალითად, ცვლილებებს ადმინისტრაციულ კოდექსში, კანონებში, რომელიც არეგულირებს ინსტიტუციების მანდატებს, ომბუდსმენის შესახებ კანონში და ა.შ.

ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკისა და საქართველოს სამართლებრივი სისტემის გათვალისწინებით ევრო დირექტივის დანერგვის ორი შესაძლებლობა არის რეკომენდებული:

1. საჯარო ინსტიტუტების ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ სპეციალური კანონის მიღება;
2. საჯარო ინსტიტუტების ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ დადგენილების მიღება.

პირველ შემთხვევაში საჭირო იქნება სპეციალური კანონის მიღება საჯარო სექტორისა და ყველა სახის არასაჯარო ორგანიზაციის ვებგვერდების და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ. ეს კანონი პირდაპირ დაადგენს საჯარო ინსტიტუტების და ყველა სახის არასაჯარო ორგანიზაციის ვალდებულებას, რომ დააწესონ ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის მინიმალური სტანდარტები (ანუ შეასრულონ პირველი რეკომენდაცია). აღნიშნული ასევე დაარეგულირებს ხელისუფლების იურისდიქციას, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და შესაბამისობის ღონისძიებებს. რეკომენდებულია, რომ აღნიშნული ფუნქცია დაეკისროს ციფრული მართვლობის სააგენტოს (ანუ შესრულდეს მესამე რეკომენდაცია). ეს შესაბამისობაში იქნება არსებულ სამართლებრივ ჩარჩოსთან და რეგულირებასთან. კანონთან ერთად, სააგენტო მიიღებს კანონქვემდებარე აქტს/რეგულაციას მისაწვდომობის მოდელის და მონიტორინგის მეთოდოლოგიის განსასაზღვრად. კანონის დრაფტი იხილეთ დანართ N1 სახით.

მეორე შემთხვევაში, საჭიროა საჯარო სექტორისა და ყველა სახის არასაჯარო ორგანიზაციის ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ დადგენილების მიღება. ამ სცენარის შემთხვევაში, „შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციის შესახებ“ საქართველოს კანონებში საჭირო იქნება ცვლილებების შეტანა და დადგენილების მისაღებად სამართლებრივი საფუძვლის შექმნა. დადგენილება დაარეგულირებს საჯარო ინსტიტუტების და ყველა სახის არასაჯარო დაწესებულების ვალდებულებას, რომ დააწესონ ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის მინიმალური სტანდარტი. ის ასევე დაარეგულირებს ხელისუფლების იურისდიქციას, მათ შორის მონიტორინგის და შეფასების და შესაბამისობის ღონისძიებებს. რეკომენდებულია, რომ ეს როლი შეითავსოს ციფრული მართვლობის სააგენტომ, რაც შეესაბამება მოქმედ სამართლებრივ რეგულაციებს. ამ შემთხვევაში, დადგენილება ვერ დააწესებს შესაბამისობის ღონისძიებებს და სანქციებს და საჭირო იქნება დამატებითი ცვლილებების განხორციელება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ციფრული მართვლობის სააგენტოს შესახებ კანონში (რომელიც არეგულირებს სააგენტოს მანდატს) და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (რომელიც არეგულირებს სანქციებს). დადგენილებასთან ერთად სააგენტოს მოუწევს მიიღოს შიდა ნორმატიული აქტები მისაწვდომობის მოდელისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის განსასაზღვრად. დადგენილების პროექტი იხილეთ დანართი N2 სახით.

მიუხედავად იმისა, თუ რომელი ვარიანტი შეირჩევა, საჭიროა შეფასდეს რომელ კანონებსა და რეგულაციებს შეეხება ისინი და რა გავლენას იქონიებს ახალი მინიმალური სტანდარტები საჯარო და კერძო ინსტიტუტებზე.

შესაძლოა დადგენილების მიღების პროცესი უფრო მარტივად წარიმართოს, თუმცა ის ასევე მოითხოვს მრავალ კანონში ცვლილებების შეტანას. საქართველოს სამართლებრივი ტრადიციების, საერთაშორისო და განსაკუთრებით ევროპული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, რეკომენდებულია რომ საქართველომ მიიღოს სპეციალური კანონი საჯარო სექტორისა და ყველა სახის არასაჯარო ორგანიზაციის ვებგვერდისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ. კანონის ტექსტი შემოთავაზებულია დანართი N1 სახით.

საერთაშორისო და ევროპული კარგი პრაქტიკის შესაბამისად, საჯარო და კერძო ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ კანონით/დადგენილებით შემოღებული მინიმალური სტანდარტების განხორციელებისთვის საკმარისი პერიოდი, რომელიც განისაზღვრება სულ ცოტა 12 და არაუმეტეს 24 თვით.

2.2. გამოყენებადობის და ვებ მისაწვდომობის სტანდარტი

მეორე რეკომენდაციის შესასრულებლად, მნიშვნელოვანია სამართლებრივი რეგულაციების დაწესებასთან ერთად მათი რეალური განხორციელება და ვებ მისაწვდომობის რეალურად გაუმჯობესება შშმ პირებისთვის და სრულიად მოსახლეობისთვის. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს და დანერგოს ონლაინ გამოყენებადობისა და ვებ მისაწვდომობის სტანდარტი. სტანდარტი უნდა შეიცავდეს:

1. რეკომენდაციას განვითარებამდელი დიზაინის პროცესის, განვითარების და შემდგომი განვითარების პროცესის შესახებ.
2. სავალდებულო მოთხოვნებს გამოსაყენებელი ენის, „შეხედე და შეიგრძენის“, ფუნქციურობის და ვებ მისაწვდომობის შესახებ (კერძოდ, WCAG AA).
3. დამხმარე ელემენტებს, როგორცაა მაგალითები, ხელახალი გამოყენების კოდი, სტილების ცხრილები, თვითშეფასების ინსტრუმენტი და პასუხისმგებელი ორგანოს მხარდაჭერა.
4. შესაბამისობის დადგენისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად შესაბამისი მანდატის და პასუხისმგებლობის განსაზღვრას და დამტკიცებას. მიზანშეწონილია, რომ მანდატი და პასუხისმგებლობა დაეკისროს სამთავრობო უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობის დიგიტალიზაციაზე, კერძოდ ციფრული მმართველობის სააგენტოს (DGA). მნიშვნელოვანია, ამ უწყებას მხარს უჭერდეს მთავრობათაშორისი სამუშაო ჯგუფი და მმართველი კომიტეტი, რომელიც დაკომპლექტებული იქნება მთავრობის, როგორცაა ფინანსთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ადგილობრივი ხელისუფლება და სხვა წარმომადგენლებისგან.

დანიის მიდგომის მსგავსად, მიზანშეწონილია, რომ საქართველომ დაადგინოს გამოყენებადობის და ვებ მისაწვდომობის ისეთი სტანდარტი, რომელიც ხელისუფლების ყველა დონის (ადგილობრივის, რეგიონულის და ცენტრალურის), ვებგვერდებს, აპლიკაციებს და ონლაინ სერვისებს მოიცავს, ასევე აწესებს მინიმალური კრიტერიუმებს, გაიდ-

ლაინებს და ინსტრუმენტებს. ასევე რეკომენდებულია, რომ გამოყენებადობისა და ვებ მისაწვდომობის სახელმძღვანელოს საწყისი ქართული ვერსია, ან მინიმუმ ოთხ (4) წლიანი ეტაპი, (უნდა გაგრძელდეს 2021-2024 წლების ციფრული ტრანსფორმაციის მომავალი სტრატეგიის მიღებით) უნდა შეიცავდეს გაზომვად მინიმალურ მისაღებობის კრიტერიუმებს. შემდგომი ვერსიები, ან მეორე ეტაპი, შესაძლოა, ეფუძნებოდეს გამოყენებადობის სახელმძღვანელო პრინციპებს, განსაკუთრებით WCAG სტანდარტებს. აღნიშნული უნდა დაეფუძნოს საქართველოში გამოყენებადობის სტანდარტებთან შესაბამისობის დონის შეფასებას. თუ შესაბამისობა დაბალია, პირველი ეტაპი უნდა გაგრძელდეს მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისის დიზაინის კულტურის ჩამოყალიბებამდე.

მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული წინადადებები აისახოს საქართველოს მთავრობის და გაციფრულებაზე პასუხისმგებელი ერთეულის 2022 წლის სამუშაო პროგრამასა და შესაბამის სტრატეგიებში.

2.3. მმართველობისა და შესაბამისობის ჩაჩჩო

როგორც აღნიშნულია 2.1. თავში, ევრო დირექტივის (EU) 2016/2102 საქართველოს კანონმდებლობაში დანერგვით, ვებ მისაწვდომობის სამართლებრივი საფუძვლები შეიქმნება იმდენად, რამდენადაც გაჩნდება შესაბამისობის უზრუნველყოფის სამართლებრივი ვალდებულება და მანდატი. კერძოდ:

- შექმნება ისეთი მანდატი და პასუხისმგებლობა, რომელიც განახორციელებს კონვენციასთან, ონლაინ გამოყენებადობასა და ვებ მისაწვდომობის სტანდარტთან (მათ შორის WCAG AA) შესაბამისობის მონიტორინგს, შეფასებას და აღსრულებას. რეკომენდებულია ასეთი მანდატი და პასუხისმგებლობა მიენიჭოს სამთავრობო უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობის დიგიტალიზაციაზე, ამჟამად ასეთ უწყებას წარმოადგენს ციფრული მმართველობის სააგენტო.
- მანდატი უნდა ითვალისწინებდეს სამოქმედო გეგმების სავალდებულო შემუშავებას, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს ის სამთავრობო უწყება, რომლის მიმართაც შეუსაბამობა დადგინდა.

მანდატი და პასუხისმგებლობა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ კონკრეტულ საკითხებს:

1. ფორმალური სამოქმედო გეგმები უნდა განსაზღვრავდნენ ძირითად ქმედებებს და ვადებს მთავრობისთვის და ციფრული მმართველობის სააგენტოსთვის. ის უწყება, რომლის მიმართაც დადგინდება შეუსაბამობა, სრულად უნდა იყოს პასუხისმგებელი შემდგომ ღონისძიებებსა და შესაბამისობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯზე.
2. მანდატის მინიჭებასთან ერთად ბიუჯეტი უნდა გაეზარდოს მანდატის მქონე უწყებას.
3. მანდატის მქონე უწყებას უფლება უნდა ჰქონდეს, შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაზე ინფორმაცია წარადგინოს საქართველოს მთავრობაში და/ან ნებისმიერ

ეროვნულ მმართველ კომიტეტში, რომელიც პასუხისმგებელია დიגיტიზაციასა და შშმ პირთა მისაწვდომობაზე საქართველოში.

4. უნდა შეიქმნას ყოველწლიური შეფასების ციკლი ონლაინ სამთავრობო და ძირითადი კერძო სექტორის მომსახურების შეთავაზებებზე. წლიური შეფასებები უნდა იყოს უფრო ფართო და სიღრმისეული საწყისი ხუთი (5) წლის განმავლობაში, რათა გააუმჯობესოს შესაბამისობის დონე საქართველოში. წლიური შეფასების ანგარიში უნდა შეივსოს შშმ პირთა მიერ ვებ მისაწვდომობის შეფასებით, როგორც ეს დადგენილია საქართველოს მიერ კონვენციით ნაკისრ ვალდებულება(ებ)ში. წლიური შეფასების ანგარიშები უნდა იყოს სახალხო დამცველის ანგარიშების ციკლის შესაბამისი და მასთან დაკავშირებული.

მიზანშეწონილია, რომ 4 წლიანი პირველადი ეტაპი ეფუძნებოდეს ყველა ძირითადი მაღალი სიხშირის, მაღალი მოცულობის სამთავრობო ვებსაიტების, აპლიკაციებისა და ელექტრონული სერვისების ვალიდურობის შემოწმებას (როგორც გამოყენებადობის, ასევე, ვებ მისაწვდომობის სტანდარტის მიხედვით). აღნიშნული ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს საჯარო სამსახურის მიერ შემუშავებული საჯარო მომსახურების ხარისხის ინდექსის ანგარიშებასთან, რომელიც მოიცავს გამოყენებადობასა და ვებ მისაწვდომობასთან დაკავშირებით რელევანტურ კრიტერიუმებს. მეორე ეტაპი, როდესაც შესაბამისობა რეგულარულად ხორციელდება, შეიძლება ეფუძნებოდეს გამოყენებადობის სახელმძღვანელო პრინციპების, განსაკუთრებით WCAG სტანდარტების, რეგულარულ ადგილზე შემოწმებას.

მიზანშეწონილია, რომ აღნიშნული წინადადებები აისახოს საქართველოს მთავრობის და გაციფრულებაზე პასუხისმგებელი ერთეულის 2022 წლის სამუშაო პროგრამასა და შესაბამის სტრატეგიებში.

დანართი I

საქართველოს კანონი

საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციების ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ

მუხლი 1 – რეგულირების სფერო

1. ეს კანონი ადგენს საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციების ვებგვერდების და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობასთან დაკავშირებულ ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც გახდინან ამ ვებგვერდებს და მობილურ აპლიკაციებს უფრო მისაწვდომს მომხმარებლისთვის და განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

მუხლი 2 – გამოყენების პირობები

1. ეს კანონი არ ვრცელდება შემდეგ ვებგვერდებზე და მობილურ აპლიკაციებზე:
 - ა) საზოგადოებრივი მაუწყებლების და მათი ფილიალების ვებგვერდებზე და მობილურ აპლიკაციებზე და ფილიალებზე, ასევე, სხვა ორგანოებზე და მათ ფილიალებზე, რომელებიც აწვდიან მაუწყებლის სერვისს;
 - ბ) იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ვებგვერდებზე და მობილურ აპლიკაციებზე, რომლებიც არ აწვდიან მნიშვნელოვან საჯარო სერვისებს, როგორცაა ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაფინანსებული სერვისები, და
 - გ) სკოლების და საბავშვო ბაღების ვებგვერდებზე და მობილურ აპლიკაციებზე, გარდა იმ შინაარსისა, რომელიც დაკავშირებულია ძირითად ონლაინ ადმინისტრაციულ ფუნქციებთან. როდესაც ეს ძირითადი ონლაინ სერვისები მისაწვდომია სხვა ვებგვერდების საშუალებით, აღარ არსებობს მათი მისაწვდომობის უზრუნველყოფის საჭიროება ამ დაწესებულების მიერ.
2. ეს კანონი არ ვრცელდება ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შემდეგ შინაარსზე:
 - ა) ოფისის ფაილები გამოქვეყნებული -----მდე, თუ ეს შინაარსი არ არის აუცილებელი საჯარო და არასაჯარო დაწესებულებების სერვისთან დაკავშირებული აქტიური ადმინისტრაციული პროცესისთვის;

ბ) წინასწარ ჩანერილი პერიოდული მედია კონტენტისთვის, რომელიც გამოქვეყნებულია -----მდე;

გ) პირდაპირ რეჟიმში მიმდინარე პერიოდული მედია კონტენტისთვის, თუ ეს ინფორმაცია არ ინახება ონლაინ ან ხელახლა არ ქვეყნდება პირდაპირ რეჟიმში გადაცემის შემდეგ. ასეთი კონტენტი მიიჩნევა წინასწარ ჩანერილ პერიოდულ მედიად, არასათანადო დაყოვნების გარეშე მისი პირველადი გამოქვეყნებიდან ხელახლა გამოქვეყნებამდე თუ არ აჭარბებს მისაწვდომობისთვის მკაცრად საჭირო დროს, სადაც პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციას. ეს დრო არ უნდა აჭარბებდეს 14 (თოთხმეტ) დღეს. დასაბუთებულ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ამ დროში სერვისის განხორციელება, ეს პერიოდი შეიძლება გახანგრძლივდეს უმოკლესი ვადით, რაც საჭიროა კონტენტის მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

დ) ონლაინ რუკები და რუკების სერვისები, რამდენადაც აუცილებელი ინფორმაცია არის მოცემული მისაწვდომი ციფრული სახით სანავიგაციო გამოყენებისთვის განკუთვნილ რუკებზე;

ე) მესამე მხარის პროდუქტი, რომელიც არ არის ამ საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციების დაფინანსებული, შექმნილი და კონტროლს დაქვემდებარებული. როდესაც საჯარო ორგანიზაციების ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შინაარსის მიზანი არის კონსულტაციების ან დისკუსიების გამართვა, ეს შინაარსი არ უნდა ჩაითვალოს მესამე მხარის პროდუქტად და არ უნდა გამოირიცხოს ამ კანონის მოქმედების სფეროდან, გარდა მომხმარებლის მიერ შექმნილი შინაარსისა, რომელიც არ არის ამ საჯარო ან არასაჯარო ორგანიზაციის კონტროლის ქვეშ;

ვ) კულტურული მემკვიდრეობის კოლექციის რეპროდუქციები, რომელთა სრული მისაწვდომობის უზრუნველყოფა შეუძლებელია:

i. მისაწვდომობის მოთხოვნების შეუთავსებლობის გამო ნივთის შენარჩუნებასთან ან რეპროდუქციის აუთენტურობასთან, როგორც არის კონტრასტი: ან

ii. ავტომატური და ხარჯ-ეფექტური მოგვარების შეუძლებლობის გამო, რომელიც მარტივად გარდაქმნის ხელნაწერის ტექსტს ან კულტურული მემკვიდრეობის სხვა ნივთის შინაარსს მისაწვდომ პროდუქტად;

ზ) ექსტრანეტის და ინტრანეტის შინაარსი, რაც გულისხმობს მხოლოდ დახურული ჯგუფისთვის მისაწვდომ ვებგვერდებს, რომელიც შექმნილია ----- მდე, ვიდრე ამ ვებგვერდებს ჩაუტარდება არსებითი რევიზია;

თ) არქივს მიკუთვნილებული ვებგვერდები და მობილური აპლიკაციები, რომლებიც არ შეიცავს აქტიური ადმინისტრაციული პროცესისთვის საჭირო შინაარსს და არ მომხდარა მათი განახლება ან შეცვლა ----- შემდეგ.

მუხლი 3 – ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონის მიზნებისთვის ჩამოთვლილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მისაწვდომობა - პრინციპები და ტექნიკები, რომელიც გათვალისწინებულია ვებგვერდების და მობილური აპლიკაციების დიზაინის, შექმნის, შენარჩუნების და განახლების დროს მომხმარებლისთვის, განსაკუთრებით შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირობებისთვის და არა მხოლოდ მათთვის, მათი მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

ბ) სააგენტო - ციფრული მმართველობის სააგენტო, რომელიც შექმნილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონით;

გ) საჯარო სამართლის სუბიექტები - სუბიექტები, რომელთაც ახასიათებთ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი:

i. შექმნილია სპეციალური მიზნით, რომელიც უკავშირდება საჯარო ინტერესის სფეროს, არ აქვთ ინდუსტრიული ან კომერციული ხასიათი;

ii. არიან იურიდიული პირები; და

iii. უმეტესად დაფინანსებულნი არიან ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ან სხვა საჯარო ორგანოების მიერ; ან ეს ორგანოები ახორციელებენ მათ მართვასა და კონტროლს; აქვთ ადმინისტრაციული, მმართველობითი ან ზედამხედველი ორგანო, რომელის შემადგენლობის ნახევარზე მეტი დანიშნულია ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ან სხვა საჯარო ორგანოების მიერ;

დ) ვებგვერდების და მობილური აპლიკაციების შინაარსი - ტექსტური ან არა ტექსტური ინფორმაცია, ჩამოტვირთვადი დოკუმენტები და ფორმები და ინტერაქციები, როგორცაა ციფრული ფორმების და ავტორიზაციის შესრულება, იდენტიფიკაცია და გადახდის პროცედურები;

ე) არაპროპორციული ტვირთი - ღონისძიებები, რომელიც აწესებს გადაჭარბებულ ორგანიზაციულ ან ფინანსურ ტვირთს საჯარო ან არასაჯარო ორგანიზაციისთვის, ან საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის შესაძლებლობას შეასრულოს მისი მიზნები ან გამოაქვეყნოს მისი ამოცანებისა და სერვისისთვის საჭირო ინფორმაცია, ამავე დროს ითვალისწინებს მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირობებისთვის, სასარგებლო ან საზიანო შედეგებს.

ვ) კულტურული მემკვიდრეობის ნივთები - კერძო ან საჯარო მფლობელობაში არსებული სიკეთეები, რომელიც წარმოადგენს ისტორიულ, მხატვრულ, არქეოლოგიურ, ესთეტიურ, მეცნიერულ ან ტექნიკურ ინტერესს და დაცულია კულტურულ დაწესებულებებში, როგორცაა ბიბლიოთეკები, არქივები და მუზეუმები;

ზ) გაზომვადი მონაცემები - მონიტორინგის რაოდენობრივი შედეგები, რომელიც ტარდება საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციების ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად. ის მოიცავს რაოდენობრივ ინფორმაციას შესწავლილი ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შესახებ, როგორცაა ვებგვერდების და აპლიკაციების რაოდენობა, პოტენციალი, ვიზიტორებისა და მომხმარებლების რაოდენობა; ასევე მისაწვდომობის დონის შესახებ რაოდენობრივ მონაცემებს;

თ) მობილური აპლიკაცია - საჯარო ან არასაჯარო ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაცია საზოგადოების მიერ მობილური მოწყობილობების, როგორცაა სმარტფონი და ტაბლეტი, საშუალებით გამოყენებისათვის. ის არ მოიცავს პროგრამას, რომელიც აკონტროლებს ამ მოწყობილობებს (მობილურის ოპერაციული სისტემა) ან მყარ დისკს;

ი) არასაჯარო ორგანიზაცია - საქართველოს ----- კანონის ----- მუხლით განსაზღვრული ორგანიზაცია ან ინსტიტუტი;

კ) ოფისის ფორმატის ფაილები - დოკუმენტები, რომლის ვებგვერდზე გამოყენება არ იყო თავდაპირველად განზრახული და არის ატვირთული ვებგვერდზე, როგორცაა ადობის პორტატული დოკუმენტის ფორმატი (PDF), მაიკროსოფტ ოფისის დოკუმენტები და მათი ექვივალენტები;

ლ) საჯარო დაწესებულება - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლით განსაზღვრული დაწესებულება;

მ) დაინტერესებული პირები - შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირები, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციები, ხანდაზმულთა ინტერესების დამცველი ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები, ინდუსტრიული სექტორი რომელიც ჩართულია ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის პროგრამულ უზრუნველყოფაში და სამოქალაქო საზოგადოება;

ნ) სტანდარტი - ტექნიკური რეგლამენტი, მიღებული ან აღიარებული სტანდარტიზაციის ორგანოს მიერ, განმეორებითი ან განგრძობადი გამოყენებისთვის, რომელთან შესაბამისობაც არ არის სავალდებულო და რომელიც წარმოადგენს ჩამოთვლილთაგან ერთს:

i. საერთაშორისო სტანდარტი - საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანოს მიერ მიღებული სტანდარტი;

ii. ევროპული სტანდარტი - ევროპული სტანდარტიზაციის ორგანოს მიერ მიღებული სტანდარტი;

iii. ჰარმონიზებული სტანდარტი - ევროპული სტანდარტი, რომელიც მიღებულია ევროპული კომისიის მოთხოვნის საფუძველზე ევროკავშირის კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის;

ო) პერიოდული მედია კონტენტი - შემდეგი ტიპის მედია: მხოლოდ აუდიო, მხოლოდ ვიდეო, აუდიო-ვიდეო, აუდიო და/ან ვიდეო ინტერაქციასთან ერთად;

პ) ვებგვერდი - საჯარო ან არასაჯარო ორგანიზაციის მიერ შექმნილი ვებ დოკუმენტი, რომელიც მისაწვდომია ვებ ბრაუზერის საშუალებით და გამოიყენება მომხმარებლის მიერ მათი მოწყობილობების (კომპიუტერი, მობილური ტელეფონი და ა.შ.) საშუალებით.

მუხლი 4 - ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის მოთხოვნები

1. საჯარო და არასაჯარო დაწესებულებებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა მათი ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის გასაუმჯობესებლად და გახადონ ისინი:

ა) აღქმადი - ინფორმაციისა და ინტერფეისის კომპონენტების იმგვარად მიწოდება მომხმარებლისთვის, რომ შეძლონ მისი აღქმა;

ბ) ოპერატიული - მომხმარებლის ინტერფეისი კომპონენტების და ნავიგაციის მოქნილობას;

გ) გაგებადი - ინფორმაციის და მომხმარებლის ინტერფეისის ოპერირების გაგება;

დ) ძლიერი/მდიდარი - საკმარისად ძლიერი/მდიდარი შინაარსი და სანდო მრავალფეროვანი მომხმარებლებისთვის, მათ შორის, მათთვის, ვინც იყენებს დამხმარე ტექნოლოგიებს.

მუხლი 5 - არაპროპორციული ტვირთი

1. საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ ამ კანონის მე-4 მუხლში დასახელებული მისაწვდომობის მოთხოვნები იმ ფარგლებში, რაც მათთვის არ გამოიწვევს არაპროპორციული ტვირთის დაწესებას ამ რეგულირების მიზნებისთვის.

2. მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების გათვალისწინება მოხდება არაპროპორციული ტვირთის გამო მისაწვდომობის უგულვებელყოფის ფარგლებში შეფასებისას; კერძოდ, პრიორიტეტის, დროისა და ცოდნის ნაკლებობა ვერ ჩაითვლება ლეგიტიმურ მიზნად. ლეგიტიმურ მიზნად ასევე ვერ ჩაითვლება ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შინაარსის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის შესყიდვაზე ან შექმნაზე უარი.

3. ამ კანონის მე-4 მუხლით დადგენილი მისაწვდომობის მოთხოვნების უზრუნველყოფით გამოწვეული არაპროპორციული ტვირთის ფარგლებში შეფასებისას საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ რელევანტური გარემოებები, მათ შორის:

- ა) დაწესებულების ზომა, რესურსები და ბუნება;
- ბ) დაწესებულების სავარაუდოდ ხარჯები და სარგებელი და მომხმარებლის, კერძოდ შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირების (და არა მხოლოდ) სარგებელი, მათ მიერ კონკრეტული ვებგვერდისა და მობილური აპლიკაციის გამოყენების სიხშირე და ხანგრძლივობა.
4. ამ მუხლის პირველი პარაგრაფის ზიანის გარეშე, საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებებს შეუძლიათ ჩაატარონ პირველადი შეფასება ამ კანონის მე-4 მუხლით დადგენილი მისაწვდომობის მოთხოვნების უზრუნველყოფით გამოწვეული არაპროპორციული ტვირთის ფარგლების განსასაზღვრად.
 5. როდესაც საჯარო ან არასაჯარო დაწესებულება სარგებლობს ამ მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული წესისგან გადახვევით კონკრეტული ვებგვერდის ან მობილური აპლიკაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფის პრცესში, მე-3 პუნქტით დადგენილი შეფასების შემდეგ, ის უნდა ეცადოს, რომ გახადოს პრობლემური შინაარსი მაქსიმალურად მისაწვდომი და სხვა ყველა შინაარსი სრულად მისაწვდომი.
 6. როდესაც საჯარო ან არასაჯარო დაწესებულება თავს არიდებს ამ მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული წესისგან გადახვევით კონკრეტული ვებგვერდის ან მობილური აპლიკაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფას, ამ კანონის მე-7 მუხლით დადგენილი წესით მან უნდა განმარტოს მისაწვდომობის განაცხადში ის ნაწილი ან ნაწილები, რომელიც არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის მოთხოვნებს და სადაც შესაძლებელია მომხმარებელს შესთავაზოს მისაწვდომი ალტერნატივები.
 7. საჯარო ან არასაჯარო ორგანიზაციებმა სააგენტოს უნდა წარუდგინონ წერილობითი ანგარიში ამ მუხლის მე-3 პარაგრაფით დადგენილი, ამავე კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მისაწვდომობის მოთხოვნების უზრუნველყოფით გამოწვეული არაპროპორციული ტვირთის ფარგლების შეფასების შესახებ. აღნიშნული ანგარიში უნდა მოიცავდეს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ალტერნატივების შესახებ ინფორმაციას.
 8. ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული გამოძიების დაწყების ძალაუფლების ხელშეშლის გარეშე, სააგენტოს შეუძლია გასცეს წერილობითი მოსაზრება პირველადი შეფასების ანგარიშზე მისი მიღებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში, დაწესებულების მიერ იმ ღონისძიებების განხორციელების მოთხოვნით, რომელთაც სააგენტო საჭიროდ მიიჩნევს გარემოებების გათვალისწინებით. ასეთი წერილობითი მოსაზრება შესაბამის დაწესებულებას უნდა მიეწოდოს რეგისტრირებული წერილის სახით.

მუხლი 6 - მისაწვდომობის მოთხოვნებთან შესაბამისობის პრეზუმფცია

1. ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შინაარსი, რომელიც აკმაყოფილებს ევროპული სტანდარტის [EN 301 549 V1.1.2 \(2015-04\)](#) რელევანტურ მოთხოვნებს ან ნაწილებს, ივარაუდება, რომ შეესაბამება ამ კანონის მე-4 მუხლით დადგენილ მისაწვდომობის მოთხოვნებს.

მუხლი 7 – მისაწვდომობის განაცხადი

1. საჯარო დაწესებულებებმა უნდა განათავსონ და რეგულარულად განაახლონ დეტალური, ამომწურავი და ნათელი მისაწვდომობის განაცხადი, რომელიც აღწერს მათი ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების ამ კანონის დებულებებთან შესაბამისობას.
 - ა) განმარტებას შიგთავსის იმ ნაწილებზე, რომელიც არ არის მისაწვდომი, მიუწვდომლობის მიზეზებს და სადაც შესაძლებელია, მისაწვდომი ალტერნატივების აღწერას;
 - ბ) უკუკავშირის მექანიზმის აღწერასა და ბმულს, რომელიც საშუალება მისცემს ნებისმიერ მომხმარებელს, რომ შეატყობინოს საჯარო დაწესებულებას მისი ვებგვერდისა და მობილური აპლიკაციის გამოყენებისას წარმოშობილ ნებისმიერ ხარვეზზე, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ მისაწვდომობის მოთხოვნებს და მოითხოვოს ინფორმაცია გარდა ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით და მე-5 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციისა;
 - გ) ამ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებული აღსრულების პროცედურის ბმულს, რომელიც შესაძლოა გამოიყენოს მის მოთხოვნაზე არადაამაკმაყოფილებელი პასუხის მიღების ან პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში.
3. ვებგვერდებზე მისაწვდომობის განაცხადი უნდა განთავსდეს მისაწვდომი ფორმატით, სააგენტოს მიერ განსაზღვრული მოდალური მისაწვდომობის განაცხადის მიხედვით.
4. მობილური აპლიკაციებისთვის მისაწვდომობის განაცხადი უნდა განთავსდეს მისაწვდომი ფორმატით, სააგენტოს მიერ განსაზღვრული მოდალური მისაწვდომობის განაცხადის მიხედვით მობილური აპლიკაციის შემქმნელი დაწესებულების ვებგვერდზე ან სხვა ინფორმაციასთან ერთდ უნდა იყოს მისაწვდომი აპლიკაციის ჩამოტვირთვის დროს.
5. ამ კანონის ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში სააგენტომ უნდა დაამტკიცოს მისაწვდომობის განაცხადის ნიმუში/ფორმა.

- საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებების მიერ ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეტყობინების ან მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, მან უნდა უზრუნველყოს ამ შეტყობინებაზე ან მოთხოვნაზე ადეკვატური პასუხის მიწოდება მისი მიღებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 8 - დამატებითი ღონისძიებები

- სააგენტომ უნდა მიიღოს ზომები ამ კანონის მე-4 მუხლით დადგენილი მისაწვდომობის ზომების გამოყენების კოორდინაციისთვის სხვა საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციების ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციებისთვის, კერძოდ, იმ ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციებისთვის, რომელთაც მოიცავს მისაწვდომობის შესახებ ეროვნული კანონმდებლობა.
- სააგენტომ უნდა წაახალისოს და კოორდინაცია გაუწიოს ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შესახებ ტრენინგ პროგრამებს დაინტერესებული პირებისთვის და საჯარო და არასაჯარო დაწესებულებების თანამშრომლებისთვის, რომ ასწავლოს მათ როგორ შექმნან, მართონ და განაახლონ ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შიგთავსი მისაწვდომი ფორმით.
- სააგენტო იღებს საჭირო ზომებს ამ კანონის მე-4 მუხლით დადგენილი მისაწვდომობის მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, მათ სარგებელზე მომხმარებლისთვის და ვებგვერდისა და მობილური აპლიკაციის მფლობელებისთვის, ხარვეზების შემთხვევაში დაწესებულებისთვის უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობაზე.

მუხლი 9 – მონიტორინგი და ანგარიშგება

- სააგენტომ პერიოდულად უნდა შეამოწმოს საჯარო და არასაჯარო დაწესებულებების ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შესაბამისობა ამ კანონის მე-4 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.
- სააგენტომ საქართველოს პარლამენტს ყოველწლიურად უნდა წარუდგინოს მონიტორინგის შედეგების შესახებ ანგარიში, მათ შორის, გაზომვადი მონაცემები. ასეთი ანგარიში უნდა შედგეს ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით და უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ამ კანონის მე-10 მუხლით დადგენილი აღსრულების მექანიზმის გამოყენების შესახებ.
- ამ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, პირველი ანგარიში უნდა მოიცავდეს:
 - ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციის მიზნით შექმნილი მექანიზმის აღწერას;

- ბ) ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ ნებისმიერი განვითარების გასაჯაროების პროცედურას;
 - გ) ამ კანონის მე-4 მუხლით დადგენილი მისაწვდომობის მოთხოვნების შესაბამისობის შეფასების მიგნებებს და გამოცდილებას;
 - დ) ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების შესახებ ინფორმაციას.
4. სააგენტომ ანგარიშში უნდა ასახოს ინფორმაცია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ელემენტების მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ.
 5. ანგარიშის ყველა ნაწილი, სადაც არ არის საჭირო ვებგვერდების, მობილური აპლიკაციების და შემონმებული დანესებულებების ჩამოთვლა უნდა გასაჯაროვდეს მისაწვდომი ფორმით.
 6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის მეთოდოლოგია სააგენტომ უნდა დაამტკიცოს ამ კანონის ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში.

მუხლი 10 – საჩივრები და საქმის შესწავლა

1. სააგენტოს შეუძლია დაიწყოს საჯარო ან არასაჯარო დანესებულებების იმ ვებგვერდების ან მობილური აპლიკაციების შესწავლა, რომელზეც არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ ფუნქციონირებს ამ კანონის დებულებების დარღვევით.
2. სააგენტოს შეუძლია დაიწყოს საჯარო ან არასაჯარო დანესებულებების ვებგვერდების ან მობილური აპლიკაციების შესწავლა ნებისმიერი პირის საჩივრის მიღების შემდეგ, რომლის მიხედვით ამ საჯარო ან არასაჯარო დანესებულებამ მიაწოდა არადაამაკმაყოფილებელი პასუხი ან არ უპასუხა შეტყობინებას ან მოთხოვნას ამ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში, ან სხვაგვარად არღვევს ამ კანონის მოთხოვნებს.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად შესწავლის დაწყების შესახებ სააგენტომ უნდა აცნობოს შესაბამის მხარეებს, ამ კანონის მე-14 მუხლით დადგენილი მეთოდების შესაბამისად. შესწავლის შესახებ შეტყობინებისას სააგენტომ შესაბამის საჯარო ან არასაჯარო დანესებულებას უნდა აცნობოს, რომ მას აქვს საფუძველი იფიქროს, რომ ამ დანესებულებამ იმოქმედა ან მოქმედებს ამ კანონის დებულებების დარღვევით და უნდა მისცეს 15 (თხუთმეტი) დღე სააგენტოსთვის წერილობითი პასუხის გასაცემად, რომელშიც განმარტავს მიიჩნევს თუ არა მის წინააღმდეგ საჩივარს სამართლიანად, რა ღონისძიებებს გაატარებს სიტუაციის გასაუმჯობესებლად და მიუთითოს ამისთვის გონივრული ვადები.
4. საქმის შესწავლის მიზნებიდან გამომდინარე, შეტყობინების საშუალებით სააგენტომ ადრესატს მისთვის მისაწვდომი ფორმატით შესაძლოა მოთხოვოს:

- ა) ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც შეტყობინებაში არის აღწერილი;
- ბ) ნებისმიერ დოკუმენტის მიწოდება, რომელიც არის მის მფლობელობაში ან კონტროლის ქვეშ.
5. პირს არ ევალება ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის ან დოკუმენტის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ ის სასამართლოს გზით ითხოვს ამ ინფორმაციის ან დოკუმენტის გაცემის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.
 6. სააგენტომ უნდა აცნობოს მისი გადაწყვეტილების შესახებ საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებას, დაარღვია თუ არა მან ამ კანონის მოთხოვნები, ან თუ სხვაგვარად იმოქმედა ან მოქმედებს კანონის საწინააღმდეგოდ, ამ კანონის მე-14 მუხლით დადგენილი წესით. სააგენტომ უნდა დაასაბუთოს კანონის დარღვევის შესახებ გადაწყვეტილება და მოითხოვოს საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებისგან საჭირო ღონისძიებების გატარება კონკრეტული ვადის მითითებით. სააგენტომ უნდა აცნობოს საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებას, რომ გააგრძელებს შესაბამისობის ღონისძიებებს ამ კანონის შესაბამისად.
 7. სააგენტომ საჯარო ან არასაჯარო დაწესებულების წერილობითი ან ელექტრონული საშუალებით მიწოდებული მოთხოვნის შემთხვევაში 7 (შვიდი) დღის ვადაში შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება დაწესებულებებისთვის მისი გადაწყვეტილების შესასრულებლად დადგენილი ვადის გახანგრძლივების შესახებ, თუ საქმის გარემოებები ამას მოითხოვს.
 8. იმ შემთხვევაში, თუ საჯარო ან არასაჯარო დაწესებულება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებით დადგენილ საჭირო ღონისძიებებს კონკრეტულ ვადაში არ განახორციელებს, სააგენტო პირველ რიგში მიიღებს შესაბამისობის ზომებს, რომელიც მოიცავს საჯარო დაწესებულების ან არასაჯარო ორგანიზაციის სახელისა და სააგენტოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას ამ კანონის მე-12 მუხლის დებულებების შესაბამისად.
 9. ასეთი შესაბამისობის ზომების მიღებამდე, სააგენტოს შეუძლია გასცეს საბოლოო გაფრთხილება საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებისთვის ამ კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების მეთოდების შესაბამისად, რომელიც დაადგენს მომდენო ვადას, რომელიც არ უნდა აღარაბედეს 15 (თხუთმეტი) დღეს და დააკონკრეტებს შესაბამისობის ზომებს, რომელიც იქნება მიღებული.
 10. მიუხედავად საჯარო ან არასაჯარო დაწესებულების სახელის გამოქვეყნებისა და ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისა, თუ დაწესებულება არ ასრულებს დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტოს შეუძლია მას დააკისროს ადმინისტრაციული სანქცია ამ კანონის მე-12 მუხლის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 11 – სააგენტოს როლი

1. სააგენტო პასუხისმგებელია ამ კანონის დებულებების აღსრულებასა და მონიტორინგზე, რათა საჯარო და არასაჯარო დაწესებულებების ვებგვერდები და მობილური აპლიკაციები შესაბამისობაში მოვიდეს ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნებთან.
2. ამ კანონის ფარგლებში თავისი ფუნქციების შესრულებისას სააგენტომ შესაძლოა რეკომენდაციისა და კონსულტაციისთვის მიმართოს სხვა კომპეტენტურ ორგანოებსა და დაწესებულებებს.

მუხლი 12 – შესაბამისობის ზომები

1. ამ კანონის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის გათვალისწინებით, თუ საჯარო ან არასაჯარო დაწესებულება არ ასრულებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტოს შეუძლია პირველ რიგში გამოაქვეყნოს მისი სახელი და გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებს ამ კანონის მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, თუ ამას მიიჩნევს მიზანშეწონილად გარემოებების გათვალისწინებით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისობის ზომების მიღების მიუხედავად, თუ საჯარო და კერძო დაწესებულება კვლავ არ ასრულებს სააგენტოს გადაწყვეტილებას და ეს გადაწყვეტილება არ არის გასაჩივრებული დაწესებულების მიერ, სააგენტოს შეუძლია დამრღვევ საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებას დააკისროს ადმინისტრაციული ჯარიმა არაუმეტეს ----- ლარის ოდენობით.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრებამდე, სააგენტომ უნდა მიწეროს დამრღვევ საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებას გაფრთხილება, რომ შესაძლოა მას დაეკისროს ჯარიმა კონკრეტული მიზეზით და მიეცეს მას 7 (შვიდ) დღიანი ვადა წერილობითი პასუხისთვის. ამის შემდეგ სააგენტოს შეუძლია მიიღოს ჯარიმის დაკისრების და მისი ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება, აღნიშნულის მიზეზის მითითებით.
4. ამ კანონის მიზნებისთვის, სააგენტოს შეუძლია შესაბამისობის ზომების მიღებისას, რომელიც ითვალისწინებს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას, თავისი დისკრეციის ფარგლებში გამოაქვეყნოს მხოლოდ გადაწყვეტილების ზოგიერთი პუნქტი, რომელსაც მიიჩნევს საჭიროდ გარემოებების გათვალისწინებით.

მუხლი 13 – გასაჩივრების უფლება

1. საჯარო ან არასაჯარო დაწესებულება, ან ზოგიერთ შემთხვევაში მომჩივანი, უფლებამოსილია გაასაჩივროს ამ კანონის შესაბამისად მიღებული სააგენტოს გადაწყვეტილება ----- ში.
2. სააგენტოს იმ გადაწყვეტილების შედეგები, რომელიც გასაჩივრებულია, გარდა ----, არ უნდა შეჩერდეს გასაჩივრების გამო.
3. დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმა არ ამოქმედება ვიდრე დაჯარიმებული საჯარო ან არასაჯარო დაწესებულება არ ამოწურავს ამ კანონით გათვალისწინებულ გასაჩივრების უფლებას, ან თუ დაჯარიმებულმა საჯარო დაწესებულებამ გაუშვა გასაჩივრების ვადები გასაჩივრების უფლების გამოყენების გარეშე.

მუხლი 14 – მომსახურების მეთოდები

1. ამ კანონის შესაბამისად სააგენტოს მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების დროს, სააგენტოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გადაეცემა იმ საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებას, რომელსაც ეს გადაწყვეტილება მიემართება და მომჩივანს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რეგისტრირებული ფოსტით საჯარო ან არასაჯარო დაწესებულების ოფიციალურ მისამართზე და მომჩივნის ბოლო ცნობილ სამსახურებრივ ან პირად მისამართზე, ან ელექტრონული საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სანდო ჩანაწერს, თუ როდის განხორციელდა მომსახურება.
2. ელექტრონული საშუალებით მომსახურების შემთხვევაში, გადაწყვეტილება შესაბამისი საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებისთვის და მომჩივანისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სააგენტომ მიიღო:
 - ა) ავტომატური ელექტრონული შეტყობინება ელ-ფოსტის სერვერიდან, როდესაც ეს კომუნიკაცია წაიკითხა ადრესატმა; ან
 - ბ) წერილობითი დასტური საპასუხო ელექტრონული წერილით ადრესატი საჯარო ან არასაჯარო დაწესებულების თანამშრომლისგან ან მომჩივანისგან.
3. თუ შეტყობინება არ განხორციელდა გადაწყვეტილების გამოცემიდან ერთი კვირის განმავლობაში ადრესატი საჯარო ან არასაჯარო დაწესებულების ან მომჩივანის მიზნით, სააგენტო უფლებამოსილია გამოაქვეყნოს შეტყობინება ოფიციალურ გამოცემაში, იმ დაწესებულებისთვის, რომელსაც ეხება გადაწყვეტილება და მოითხოვოს მისგან გადაწყვეტილების ჩაბარება. ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში, შეტყობინება განხორციელებულად ჩაითვლება ბოლო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მესამე დღეს.

მუხლი 14 – კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი ძალაში შედის მისი გამოქვეყნებისთანავე.
2. ეს კანონი ვრცელდება:
 - ა) საჯარო და არასაჯარო დაწესებულებების ვებგვერდებზე, რომლებიც არ არის გამოქვეყნებული ----- დან, ----- მდე;
 - ბ) საჯარო და არასაჯარო დაწესებულებების ვებგვერდებზე, რომელსაც არ მოიცავს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ----- დან;
 - გ) საჯარო და არასაჯარო დაწესებულებების მობილურ აპლიკაციებზე ----- დან.

დანართი 2

საქართველოს მთავრობის დადგენილება

საჯარო და არასაჯარო დაწესებულებების ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ

მუხლი 1 – რეგულირების სფერო

- ეს კანონი ადგენს საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციების ვებგვერდების და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობასთან დაკავშირებულ ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც გახდინან ამ ვებგვერდებს და მობილურ აპლიკაციებს უფრო მისაწვდომს მომხმარებლისთვის და განსაკუთრებით შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

მუხლი 2 – გამოყენების პირობები

- ეს დადგენილება არ ვრცელდება შემდეგ ვებგვერდებზე და მობილურ აპლიკაციებზე:
 - საზოგადოებრივი მაუწყებლების და მათი ფილიალების ვებგვერდებზე და მობილურ აპლიკაციებზე და ფილიალებზე, ასევე, სხვა ორგანოებზე და მათ ფილიალებზე, რომელებიც აწვდიან მაუწყებლის სერვისს;
 - იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ვებგვერდებზე და მობილურ აპლიკაციებზე, რომლებიც არ აწვდიან მნიშვნელოვან საჯარო სერვისებს, როგორცაა ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაფინანსებული სერვისები, და
 - სკოლების და საბავშვო ბაღების ვებგვერდებზე და მობილურ აპლიკაციებზე, გარდა იმ შინაარსისა, რომელიც დაკავშირებულია ძირითად ონლაინ ადმინისტრაციულ ფუნქციებთან. როდესაც ეს ძირითადი ონლაინ სერვისები მისაწვდომია სხვა ვებგვერდების საშუალებით, აღარ არსებობს მათი მისაწვდომობის უზრუნველყოფის საჭიროება ამ დაწესებულების მიერ.
- ეს კანონი არ ვრცელდება ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შემდეგ შინაარსზე:
 - ოფისის ფაილები გამოქვეყნებული -----მდე, თუ ეს შინაარსი არ არის აუცილებელი საჯარო და არასაჯარო დაწესებულებების სერვისთან დაკავშირებული აქტიური ადმინისტრაციული პროცესისთვის;

ბ) წინასწარ ჩანერილი პერიოდული მედია კონტენტისთვის, რომელიც გამოქვეყნებულია -----მდე;

გ) პირდაპირ რეჟიმში მიმდინარე პერიოდული მედია კონტენტისთვის, თუ ეს ინფორმაციას ინახება ონლაინ ან ხელახლა არ ქვეყნდება პირდაპირ რეჟიმში გადაცემის შემდეგ. ასეთი კონტენტი მიიჩნევა წინასწარ ჩანერილ პერიოდულ მედიად, არასათანადო დაყოვნების გარეშე მისი პირველადი გამოქვეყნებიდან ხელახლა გამოქვეყნებამდე თუ არ აჭარბებს მისაწვდომობისთვის მკაცრად საჭირო დროს, სადაც პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციას. ეს დრო არ უნდა აჭარბებდეს 14 (თოთხმეტ) დღეს. დასაბუთებულ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ამ დროში სერვისის განხორციელება, ეს პერიოდი შეიძლება გახანგრძლივდეს უმოკლესი ვადით, რაც საჭიროა შიგთავსის მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

დ) ონლაინ რუკები და რუკების სერვისები, რამდენადაც აუცილებელი ინფორმაცია არის მოცემული მისაწვდომი ციფრული სახით სანავიგაციო გამოყენებისთვის განკუთვნილ რუკებზე;

ე) მესამე მხარის პროდუქტი, რომელიც არ არის ამ საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციების დაფინანსებული, შექმნილი და კონტროლს დაქვემდებარებული. როდესაც საჯარო ორგანიზაციების ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შინაარსის მიზანი არის კონსულტაციების ან დისკუსიების გამართვა, ეს შინაარსი არ უნდა ჩაითვალოს მესამე მხარის პროდუქტად და არ უნდა გამოირიცხოს ამ კანონის მოქმედების სფეროდან, გარდა მომხმარებლის მიერ შექმნილი შინაარსისა, რომელიც არ არის ამ საჯარო ან არასაჯარო ორგანიზაციის კონტროლის ქვეშ;

ვ) კულტურული მემკვიდრეობის კოლექციის რეპროდუქციები, რომელთა სრული მისაწვდომობის უზრუნველყოფა შეუძლებელია:

- i. მისაწვდომობის მოთხოვნების შეუთავსებლობის გამო ნივთის შენარჩუნებასთან ან რეპროდუქციის აუთენტურობასთან, როგორც არის კონტრასტი: ან
- ii. ავტომატური და ხარჯ-ეფექტური მოგვარების შეუძლებლობის გამო, რომელიც მარტივად გარდაქმნის ხელნაწერის ტექსტს ან კულტურული მემკვიდრეობის სხვა ნივთის შინაარსს მისაწვდომ პროდუქტად;

ზ) ექსტრანეტის და ინტრანეტის შინაარსი, რაც გულისხმობს მხოლოდ დახურული ჯგუფისთვის მისაწვდომ ვებგვერდებს, რომელიც შექმნილია ----- მდე, ვიდრე ამ ვებგვერდებს ჩაუტარდება არსებითი რევიზია;

თ) არქივს მიკუთვნილებული ვებგვერდები და მობილური აპლიკაციები, რომლებიც არ შეიცავს აქტიური ადმინისტრაციული პროცესისთვის საჭირო შინაარსს და არ მომხდარა მათი განახლება ან შეცვლა ----- შემდეგ.

მუხლი 3 – ტერმინთა განმარტება

1. ამ დადგენილების მიზნებისთვის ჩამოთვლილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მისაწვდომობა - პრინციპები და ტექნიკები, რომელიც გათვალისწინებულია ვებგვერდების და მობილური აპლიკაციების დიზაინის, შექმნის, შენარჩუნების და განახლების დროს მომხმარებლისთვის, განსაკუთრებით შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და არა მხოლოდ მათთვის, მათი მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

ბ) სააგენტო - ციფრული მმართველობის სააგენტო, რომელიც შექმნილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონით;

გ) საჯარო სამართლის სუბიექტები - სუბიექტები, რომელთაც ახასიათებთ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი:

iv. შექმნილია სპეციალური მიზნით, რომელიც უკავშირდება საჯარო ინტერესის სფეროს, არ აქვთ ინდუსტრიული ან კომერციული ხასიათი;

v. არიან იურიდიული პირები; და

vi. უმეტესად დაფინანსებულნი არიან ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ან სხვა საჯარო ორგანოების მიერ; ან ეს ორგანოები ახორციელებენ მათ მართვასა და კონტროლს; აქვთ ადმინისტრაციული, მმართველობითი ან ზედამხედველი ორგანო, რომელის შემადგენლობის ნახევარზე მეტი დანიშნულია ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების ან სხვა საჯარო ორგანოების მიერ;

დ) ვებგვერდების და მობილური აპლიკაციების შინაარსი - ტექსტური ან არა ტექსტური ინფორმაცია, ჩამოტვირთვადი დოკუმენტები და ფორმები და ინტერაქციები, როგორცაა ციფრული ფორმების და ავტორიზაციის შესრულება, იდენტიფიკაცია და გადახდის პროცედურები;

ე) არაპროპორციული ტვირთი - ღონისძიებები, რომელიც აწესებს გადაჭარბებულ ორგანიზაციულ ან ფინანსურ ტვირთს საჯარო ან არასაჯარო ორგანიზაციისთვის, ან საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის შესაძლებლობას შეასრულოს მისი მიზნები ან გამოაქვეყნოს მისი ამოცანებისა და სერვისისთვის საჭირო ინფორმაცია, ამავე დროს ითვალისწინებს მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, სასარგებლო ან საზიანო შედეგებს.

ვ) კულტურული მემკვიდრეობის ნივთები - კერძო ან საჯარო მფლობელობაში არსებული სიკეთეები, რომელიც წარმოადგენს ისტორიულ, მხატვრულ, არქეოლოგიურ, ესთეტიურ, მეცნიერულ ან ტექნიკურ ინტერესს და დაცულია კულტურულ დაწესებულებებში, როგორცაა ბიბლიოთეკები, არქივები და მუზეუმები;

ზ) გაზომვადი მონაცემები - მონიტორინგის რაოდენობრივი შედეგები, რომელიც ტარდება საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციების ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად. ის მოიცავს რაოდენობრივ ინფორმაციას შესწავლილი ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შესახებ, როგორცაა ვებგვერდების და აპლიკაციების რაოდენობა, პოტენციური ვიზიტორებისა და მომხმარებლების რაოდენობა; ასევე მისაწვდომობის დონის შესახებ რაოდენობრივ მონაცემებს;

თ) მობილური აპლიკაცია - საჯარო ან არასაჯარო ორგანიზაციისთვის ან მათ მიერ შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაცია საზოგადოების მიერ მობილური მოწყობილობების, როგორცაა სმარტფონი და ტაბლეტი, საშუალებით გამოყენებისათვის. ის არ მოიცავს პროგრამას, რომელიც აკონტროლებს ამ მოწყობილობებს (მობილურის ოპერაციული სისტემა) ან მყარ დისკს;

ი) არასაჯარო ორგანიზაცია - საქართველოს ----- კანონის ----- მუხლით განსაზღვრული ორგანიზაცია ან ინსტიტუტი;

კ) ოფისის ფორმატის ფაილები - დოკუმენტები, რომლის ვებგვერდზე გამოყენება არ იყო თავდაპირველად განზრახული და არის ატვირთული ვებგვერდზე, როგორცაა ადობის პორტატული დოკუმენტის ფორმატი (PDF), მაიკროსოფტ ოფისის დოკუმენტები და მათი ექვივალენტები;

ლ) საჯარო დაწესებულება - საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლით განსაზღვრული დაწესებულება;

მ) დაინტერესებული პირები - შებენიანი შესაძლებლობის მქონე პირები, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციები, ხანდაზმულთა ინტერესების დამცველი ორგანიზაციები, სოციალური პარტნიორები, ინდუსტრიული სექტორი რომელიც ჩართულია ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის პროგრამულ უზრუნველყოფაში და სამოქალაქო საზოგადოება;

ნ) სტანდარტი - ტექნიკური რეგლამენტი, მიღებული ან აღიარებული სტანდარტიზაციის ორგანოს მიერ, განმეორებითი ან განგრძობადი გამოყენებისთვის, რომელთან შესაბამისობაც არ არის სავალდებულო და რომელიც წარმოადგენს ჩამოთვლილთაგან ერთს:

- iv. საერთაშორისო სტანდარტი - საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანოს მიერ მიღებული სტანდარტი;
- v. ევროპული სტანდარტი - ევროპული სტანდარტიზაციის ორგანოს მიერ მიღებული სტანდარტი;
- vi. ჰარმონიზებული სტანდარტი - ევროპული სტანდარტი, რომელიც მიღებულია ევროპული კომისიის მოთხოვნის საფუძველზე ევროკავშირის კანონმდებლობის ჰარმონიზაციისთვის;

ო) პერიოდული მედია კონტენტი - შემდეგი ტიპის მედია: მხოლოდ აუდიო, მხოლოდ ვიდეო, აუდიო-ვიდეო, აუდიო და/ან ვიდეო ინტერაქციასთან ერთად;

პ) ვებგვერდი - საჯარო ან არასაჯარო ორგანიზაციის მიერ შექმნილი ვებ დოკუმენტი, რომელიც მისაწვდომია ვებ ბრაუზერის საშუალებით და გამოიყენება მომხმარებლის მიერ მათი მოწყობილობების (კომპიუტერი, მობილური ტელეფონი და ა.შ.) საშუალებით.

მუხლი 4 - ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის მოთხოვნები

1. საჯარო და არასაჯარო დაწესებულებებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო ზომა მათი ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის გასაუმჯობესებლად და გახადონ ისინი:

ა) აღქმადი - ინფორმაციისა და ინტერფეისის კომპონენტების იმგვარად მიწოდება მომხმარებლისთვის, რომ შეძლონ მისი აღქმა;

ბ) ოპერატიული- მომხმარებლის ინტერფეისის კომპონენტების და ნავიგაციის მოქნილობას;

გ) გაგებადი - ინფორმაციის და მომხმარებლის ინტერფეისის ოპერირების გაგება;

დ) ძლიერი/მდიდარი - საკმარისად ძლიერი/მდიდარი შინაარსი და სანდო მრავალფეროვანი მომხმარებლებისთვის, მათ შორის, მათთვის, ვინც იყენებს დაძველებულ ტექნოლოგიებს.

მუხლი 5 - არაპროპორციული ტვირთი

1. საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ ამ დადგენილების მე-4 მუხლში დასახელებული მისაწვდომობის მოთხოვნები იმ ფარგლებში, რაც მათთვის არ გამოიწვევს არაპროპორციული ტვირთის დაწესებას ამ რეგულირების მიზნებისთვის.
2. მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების გათვალისწინება მოხდება არაპროპორციული ტვირთის გამო მისაწვდომობის უგულვებელყოფის ფარგლების შეფასებისას; კერძოდ, პრიორიტეტის, დროისა და ცოდნის ნაკლებობა ვერ ჩაითვლება ლეგიტიმურ მიზნად. ლეგიტიმურ მიზნად ასევე ვერ ჩაითვლება ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შინაარსის პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის შესყიდვაზე ან შექმნაზე უარი.
3. ამ დადგენილების მე-4 მუხლით დადგენილი მისაწვდომობის მოთხოვნების უზრუნველყოფით გამოწვეული არაპროპორციული ტვირთის ფარგლების შეფასებისას საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციებმა უნდა გაითვალისწინონ რელევანტური

გარემოებები, მათ შორის:

ა) დაწესებულების ზომა, რესურსები და ბუნება;

ბ) დაწესებულების სავარაუდოდ ხარჯები და სარგებელი და მომხმარებლის, კერძოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების (და არა მხოლოდ) სარგებელი, მათ მიერ კონკრეტული ვებგვერდისა და მობილური აპლიკაციის გამოყენების სიხშირე და ხანგრძლივობა.

4. ამ მუხლის პირველი პარაგრაფის ზიანის გარეშე, საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებებს შეუძლიათ ჩაატარონ პირველადი შეფასება ამ დადგენილების მე-4 მუხლით დადგენილი მისაწვდომობის მოთხოვნების უზრუნველყოფით გამონვეული არაპროპორციული ტვირთის ფარგლების განსასაზღვრად.
5. როდესაც საჯარო ან არასაჯარო დაწესებულება სარგებლობს ამ მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული წესისგან გადახვევით კონკრეტული ვებგვერდის ან მობილური აპლიკაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესში, მე-3 პუნქტით დადგენილი შეფასების შემდეგ, ის უნდა ეცადოს, რომ გახადოს პრობლემური შინაარსი მაქსიმალურად მისაწვდომი და სხვა ყველა შინაარსი სრულად მისაწვდომი.
6. როდესაც საჯარო ან არასაჯარო დაწესებულება თავს არიდებს ამ მუხლის პირველი პარაგრაფით გათვალისწინებული წესისგან გადახვევით კონკრეტული ვებგვერდის ან მობილური აპლიკაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფას, ამ დადგენილების მე-7 მუხლით დადგენილი წესით მან უნდა განმარტოს მისაწვდომობის განაცხადში ის ნაწილი ან ნაწილები, რომელიც არ აკმაყოფილებს მისაწვდომობის მოთხოვნებს და სადაც შესაძლებელია მომხმარებელს შესთავაზოს მისაწვდომი ალტერნატივები.
7. საჯარო ან არასაჯარო ორგანიზაციებმა სააგენტოს უნდა წარუდგინონ წერილობითი ანგარიში ამ მუხლის მე-3 პარაგრაფით დადგენილი, ამავე კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მისაწვდომობის მოთხოვნების უზრუნველყოფით გამონვეული არაპროპორციული ტვირთის ფარგლების შეფასების შესახებ. აღნიშნული ანგარიში უნდა მოიცავდეს ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ალტერნატივების შესახებ ინფორმაციას.
8. ამ დადგენილების მე-10 მუხლით გათვალისწინებული გამოძიების დაწყების ძალაუფლების ხელშეშლის გარეშე, სააგენტოს შეუძლია გასცეს წერილობითი მოსაზრება პირველადი შეფასების ანგარიშზე მისი მიღებიდან 20 (ოცი) დღის ვადაში, დაწესებულების მიერ იმ ღონისძიებების განხორციელების მოთხოვნით, რომელთაც სააგენტო საჭიროდ მიიჩნევს გარემოებების გათვალისწინებით. ასეთი წერილობითი მოსაზრება შესაბამის დაწესებულებას უნდა მიეწოდოს რეგისტრირებული წერილის სახით.

მუხლი 6 - მისაწვდომობის მოთხოვნებთან შესაბამისობის პრეზუმფცია

1. ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შინაარსი, რომელიც აკმაყოფილებს ევროპული სტანდარტის EN 301 549 V1.1.2 (2015-04) რელევანტურ მოთხოვნებს ან ნაწილებს, ივარაუდება, რომ შეესაბამება ამ კანონის მე-4 მუხლით დადგენილ მისაწვდომობის მოთხოვნებს.

მუხლი 7 – მისაწვდომობის განაცხადი

1. საჯარო დაწესებულებებმა უნდა განათავსონ და რეგულარულად განაახლონ დეტალური, ამომწურავი და ნათელი მისაწვდომობის განაცხადი, რომელიც აღწერს მათი ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების ამ დადგენილების დებულებებთან შესაბამისობას.
 - ა) განმარტებას შიგთავსის იმ ნაწილებზე, რომელიც არ არის მისაწვდომი, მიუწვდომლობის მიზეზებს და სადაც შესაძლებელია, მისაწვდომი ალტერნატივების აღწერას;
 - ბ) უკუკავშირის მექანიზმის აღწერასა და ბმულს, რომელიც საშუალება მისცემს ნებისმიერ მომხმარებელს, რომ შეატყობინოს საჯარო დაწესებულებას მისი ვებგვერდისა და მობილური აპლიკაციის გამოყენებისას წარმოშობილ ნებისმიერ ხარვეზზე, რომელიც ეწინააღმდეგება ამ დადგენილების მე-4 მუხლით გათვალისწინებულ მისაწვდომობის მოთხოვნებს და მოითხოვოს ინფორმაცია გარდა ამ დადგენილების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით და მე-5 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციისა;
 - გ) ამ დადგენილების მე-10 მუხლით გათვალისწინებული აღსრულების პროცედურის ბმულს, რომელიც შესაძლოა გამოიყენოს მის მოთხოვნაზე არადაამაკმაყოფილებელი პასუხის მიღების ან პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში.
3. ვებგვერდებზე მისაწვდომობის განაცხადი უნდა განთავსდეს მისაწვდომი ფორმატით, სააგენტოს მიერ განსაზღვრული მოდალური მისაწვდომობის განაცხადის მიხედვით.
4. მობილური აპლიკაციებისთვის მისაწვდომობის განაცხადი უნდა განთავსდეს მისაწვდომი ფორმატით, სააგენტოს მიერ განსაზღვრული მოდალური მისაწვდომობის განაცხადის მიხედვით მობილური აპლიკაციის შემქმნელი დაწესებულების ვებგვერდზე ან სხვა ინფორმაციასთან ერთად უნდა იყოს მისაწვდომი აპლიკაციის ჩამოტვირთვის დროს.
5. ამ დადგენილების ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში სააგენტომ უნდა დაამტკიცოს მისაწვდომობის განაცხადის ნიმუში/ფორმა.

6. საჯარო ან არასაჯარო დაწესებულების მიერ ამ დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეტყობინების ან მოთხოვნის მიღების შემთხვევაში, მან უნდა უზრუნველყოს ამ შეტყობინებაზე ან მოთხოვნაზე ადეკვატური პასუხის მიწოდება მისი მიღებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 8 - დამატებითი ღონისძიებები

1. სააგენტომ უნდა მიიღოს ზომები ამ დებულების მე-4 მუხლით დადგენილი მისაწვდომობის ზომების გამოყენების კოორდინაციისთვის სხვა საჯარო და არასაჯარო ორგანიზაციების ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციებისთვის, კერძოდ, იმ ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციებისთვის, რომელთაც მოიცავს მისაწვდომობის შესახებ ეროვნული კანონმდებლობა.
2. სააგენტომ უნდა წაახალისოს და კოორდინაცია გაუწიოს ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შესახებ ტრენინგ პროგრამებს დაინტერესებული პირებისთვის და საჯარო და არასაჯარო დაწესებულებების თანამშრომლებისთვის, რომ ასწავლოს მათ როგორ შექმნან, მართონ და განაახლონ ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შიგთავსი მისაწვდომი ფორმით.
3. სააგენტო იღებს საჭირო ზომებს ამ დადგენილების მე-4 მუხლით დადგენილი მისაწვდომობის მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, მათ სარგებელზე მომხმარებლისთვის და ვებგვერდისა და მობილური აპლიკაციის მფლობელებისთვის, ხარვეზების შემთხვევაში დაწესებულებისთვის უკუკავშირის მიწოდების შესაძლებლობაზე.

მუხლი 9 – მონიტორინგი და ანგარიშგება

1. სააგენტომ პერიოდულად უნდა შეამოწმოს საჯარო და არასაჯარო დაწესებულებების ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების შესაბამისობა ამ დადგენილების მე-4 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.
2. სააგენტომ საქართველოს პარლამენტს ყოველწლიურად უნდა წარუდგინოს მონიტორინგის შედეგების შესახებ ანგარიში, მათ შორის, გაზომვადი მონაცემები. ასეთი ანგარიში უნდა შედგეს ამ მუხლის მე-4 პუნქტის გათვალისწინებით და უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ამ დადგენილების მე-10 მუხლით დადგენილი აღსრულების მექანიზმის გამოყენების შესახებ.
3. ამ დადგენილების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, პირველი ანგარიში უნდა მოიცავდეს:
 - ა) ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციის მიზნით შექმნილი მექანიზმის აღწერას;

- ბ) ვებგვერდებისა და მობილური აპლიკაციების მისაწვდომობის შესახებ ნებისმიერი განვითარების გასაჯაროების პროცედურას;
- გ) ამ დადგენილების მე-4 მუხლით დადგენილი მისაწვდომობის მოთხოვნების შესაბამისობის შეფასების მიგნებებს და გამოცდილებას;
- დ) ტრენინგებისა და ცნობიერების ამაღლების აქტივობების შესახებ ინფორმაცია.
4. სააგენტომ ანგარიშში უნდა ასახოს ინფორმაცია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ელემენტების მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ.
 5. ანგარიშის ყველა ნაწილი, სადაც არ არის საჭირო ვებგვერდების, მობილური აპლიკაციების და შემონახული დანესებულებების ჩამოთვლა უნდა გასაჯაროვდეს მისაწვდომი ფორმით.
 6. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგის მეთოდოლოგია სააგენტომ უნდა დაამტკიცოს ამ დადგენილების ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში.

მუხლი 10 – საჩივრები და საქმის შესწავლა

1. სააგენტოს შეუძლია დაინყოს საჯარო ან არასაჯარო დანესებულებების იმ ვებგვერდების ან მობილური აპლიკაციების შესწავლა, რომელზეც არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ ფუნქციონირებს ამ დადგენილების დებულებების დარღვევით.
2. სააგენტოს შეუძლია დაინყოს საჯარო ან არასაჯარო დანესებულებების ვებგვერდების ან მობილური აპლიკაციების შესწავლა ნებისმიერი პირის საჩივრის მიღების შემდეგ, რომლის მიხედვით ამ საჯარო ან არასაჯარო დანესებულებამ მიაწოდა არადაამაკმაყოფილებელი პასუხი ან არ უპასუხა შეტყობინებას ან მოთხოვნას ამ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში, ან სხვაგვარად არღვევს ამ კანონის მოთხოვნებს.
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად შესწავლის დაწების შესახებ სააგენტომ უნდა აცნობოს შესაბამის მხარეებს, (ადმინისტრაციული პროცედურების მარეგულირებელი) კანონის ---- მუხლებით დადგენილი მეთოდების შესაბამისად. შესწავლის შესახებ შეტყობინებისას სააგენტომ შესაბამის საჯარო ან კერძო დანესებულებას უნდა აცნობოს, რომ მასა აქვს საფუძველი იფიქროს, რომ ამ დანესებულებამ იმოქმედა ან მოქმედებს ამ კანონის დებულებების დარღვევით და უნდა მისცეს 15 (თხუთმეტი) დღე სააგენტოსთვის წერილობითი პასუხის გასაცემად, რომელშიც განმარტავს მიიჩნევს თუ არა მის წინააღმდეგ საჩივარს სამართლიანად, რა ღონისძიებებს გაატარებს სიტუაციის გასაუმჯობესებლად და მიუთითოს ამისთვის გონივრული ვადები.

4. საქმის შესწავლის მიზნებიდან გამომდინარე, შეტყობინების საშუალებით სააგენტომ ადრესატს მისთვის მისაწვდომი ფორმატით შესაძლოა მოთხოვოს:
 - ა) ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც შეტყობინებაში არის აღწერილი;
 - ბ) ნებისმიერ დოკუმენტის მიწოდება, რომელიც არის მის მფლობელობაში ან კონტროლის ქვეშ.
5. პირს არ ევალება ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის ან დოკუმენტის მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ ის სასამართლოს გზით ითხოვს ამ ინფორმაციის ან დოკუმენტის გაცემის ვალდებულებისგან გათავისუფლებას.
6. სააგენტომ უნდა აცნობოს მისი გადაწყვეტილების შესახებ საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებას, დაარღვია თუ არა მან ამ დადგენილების მოთხოვნები, ან სხვაგვარად იმოქმედა ან თუ მოქმედებს დადგენილების საწინააღმდეგოდ, (ადმინისტრაციული პროცედურების მარეგულირებელი) კანონის ---- მუხლებით დადგენილი მეთოდების შესაბამისად. სააგენტომ უნდა დაასაბუთოს დადგენილების დარღვევის შესახებ გადაწყვეტილება და მოითხოვოს საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებისგან საჭირო ღონისძიებების გატარება კონკრეტული ვადის მითითებით. სააგენტომ უნდა აცნობოს საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებას, რომ გააგრძელებს შესაბამისობის ღონისძიებებს ამ დადგენილების შესაბამისად.
7. სააგენტომ საჯარო ან არასაჯარო დაწესებულების წერილობითი ან ელექტრონული საშუალებით მიწოდებული მოთხოვნის შემთხვევაში 7 (შვიდი) დღის ვადაში შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება დაწესებულებისთვის მისი გადაწყვეტილების შესასრულებლად დადგენილი ვადის გახანგრძლივების შესახებ, თუ საქმის გარემოებები ამას მოითხოვს.
8. იმ შემთხვევაში, თუ საჯარო ან არასაჯარო დაწესებულება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებით დადგენილ საჭირო ღონისძიებებს კონკრეტულ ვადაში არ განახორციელებს, სააგენტო პირველ რიგში მიიღებს შესაბამისობის ზომებს, რომელიც მოიცავს საჯარო დაწესებულების ან კერძო ორგანიზაციის სახელისა და სააგენტოს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას (ადმინისტრაციული პროცედურების მარეგულირებელი) კანონის ---- მუხლების შესაბამისად.
9. ასეთი შესაბამისობის ზომების მიღებამდე, სააგენტოს შეუძლია გასცეს საბოლოო გაფრთხილება საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებისთვის (ადმინისტრაციული პროცედურების მარეგულირებელი) კანონის ---- მუხლების შესაბამისად, რომელიც დაადგენს მომდენო ვადას, რომელიც არ უნდა აჭარბებდეს 15 (თხუთმეტ) დღეს და დააკონკრეტებს შესაბამისობის ზომებს, რომელიც იქნება მიღებული.
10. მიუხედავად საჯარო ან არასაჯარო დაწესებულების სახელის გამოქვეყნებისა და ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისა, თუ დაწესებულება არ ასრულებს დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტოს შეუძლია მას

დააკისროს ადმინისტრაციული სანქცია (ადმინისტრაციული პროცედურების მარეგულირებელი) კანონის ---- მუხლების შესაბამისად.

მუხლი 11 – ამოქმედება

1. ეს დადგენილება ვრცელდება:

ა) საჯარო და არასაჯარო დაწესებულებების ვებგვერდებზე, რომლებიც არ არის გამოქვეყნებული ----- დან, ----- მდე;

ბ) საჯარო და კერძო დაწესებულებების ვებგვერდებზე, რომელსაც არ მოიცავს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ----- დან;

გ) საჯარო და კერძო დაწესებულებების მობილურ აპლიკაციებზე ----- დან.

შემდეგი მუხლები უნდა დაემატოს სააგენტოს მანდატისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების მარეგულირებელ კანონებს.

მუხლი ___ – სააგენტოს როლი

1. სააგენტო პასუხისმგებელია ამ კანონის დებულებების აღსრულებასა და მონიტორინგზე, რათა საჯარო და არასაჯარო დაწესებულებების ვებგვერდები და მობილური აპლიკაციები შესაბამისობაში მოვიდეს ამ კანონის მე-4 მუხლის მოთხოვნებთან.
2. ამ კანონის ფარგლებში თავისი ფუნქციების შესრულებისას სააგენტომ შესაძლოა რეკომენდაციისა და კონსულტაციისთვის მიმართოს სხვა კომპეტენტურ ორგანოებსა და დაწესებულებებს.

მუხლი ___ – შესაბამისობის ზომები

1. ამ დადგენილების მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის გათვალისწინებით, თუ საჯარო ან არასაჯარო დაწესებულება არ ასრულებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, სააგენტოს შეუძლია პირველ რიგში გამოაქვეყნოს მისი სახელი და გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებს ამ დადგენილების მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, თუ ამას მიიჩნევს მიზანშეწონილად გარემოებების გათვალისწინებით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისობის ზომების მიღების მიუხედავად, თუ საჯარო და არასაჯარო დაწესებულება კვლავ არ ასრულებს სააგენტოს გადაწყვეტილებას და ეს გადაწყვეტილება არ არის გასაჩივრებელი დაწესებულების მიერ, სააგენტოს შეუძლია დამრღვევ საჯარო ან კერძო დაწესებულებას დააკისროს ადმინისტრაციული ჯარიმა არაუმეტეს ----- ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრებამდე, სააგენტომ უნდა მიწეროს დამრღვევ საჯარო ან არასაჯარო დაწესებულებას გაფრთხილება, რომ შესაძლოა მას დაეკისროს ჯარიმა კონკრეტული მიზეზით და მიეცეს მას 7 (შვიდ) დღიანი ვადა წერილობითი პასუხისთვის. ამის შემდეგ სააგენტოს შეუძლია მიიღოს ჯარიმის დაკისრების და მისი ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება, აღნიშნულის მიზეზის მითითებით.
4. ამ დადგენილების მიზნებისთვის, სააგენტოს შეუძლია შესაბამისობის ზომების მიღებისას, რომელიც ითვალისწინებს გადაწყვეტილების გამოქვეყნებას, თავისი დისკრეციის ფარგლებში გამოაქვეყნოს მხოლოდ გადაწყვეტილების ზოგიერთი პუნქტი, რომელსაც მიიჩნევს საჭიროდ გარემოებების გათვალისწინებით.

მუხლი __ – გასაჩივრების უფლება

1. საჯარო ან არასაჯარო დაწესებულება, ან ზოგიერთ შემთხვევაში მომჩივანი, უფლებამოსილია გაასაჩივროს ამ კანონის შესაბამისად მიღებული სააგენტოს გადაწყვეტილება ----- ში.
2. სააგენტოს იმ გადაწყვეტილების შედეგები, რომელიც გასაჩივრებულია, გარდა --- ----, არ უნდა შეჩერდეს გასაჩივრების გამო.
3. დაკისრებული ადმინისტრაციული ჯარიმა არ ამოქმედება ვიდრე დაჯარიმებული საჯარო ან არასაჯარო დაწესებულება არ ამოწურავს ამ კანონით გათვალისწინებულ გასაჩივრების უფლებას, ან თუ დაჯარიმებულმა საჯარო დაწესებულებამ გაუშვა გასაჩივრების ვადები გასაჩივრების უფლების გამოყენების გარეშე.

ბიბლიოგრაფია

Coalition for Independent Living (2017). Letter to UN Special Rapporteur on adequate housing on the Realization of the Right to Housing of Persons with Disabilities in Georgia, 15 May 2017, accessed on 1 November 2020, <https://www.ohchr.org/Documents/Issues/Housing/Disabilities/CivilSociety/CoalitionforIndependentLiving-Georgia.pdf>

Gallo, C., Giove, C., Millard, M., Kare, R., & Thaarup, V. (2012). Study on EGovernment and the Reduction of Administrative. <https://doi.org/10.2759/42896>.

IBRD /World Bank (2016). Georgia: Transition from Status to Needs Based Assistance for DIPs – A Poverty and Social Impact Analysis, accessed 1 November 2020, <http://documents1.worldbank.org/curated/en/493981468030331770/pdf/IDP-PSIA-Georgia-revised-Feb-2016.pdf>

International Foundation for Electoral Systems (2019). Highlighting Successes of Women with Disabilities in Georgia, accessed 1 November 2020, <https://www.ifes.org/news/highlighting-successes-women-disabilities-georgia>

IDFI – Institute for Development of Freedom of Information (2015). Statistics of Persons with Disabilities in Georgia (2015), accessed on 1 November 2020, <https://idfi.ge/en/statistics-of-persons-with-disabilities>

Legislative Herald of Georgia (2021). Law of Georgia on Electronic Communications, <https://matsne.gov.ge/en/document/view/29620?publication=40>, accessed on 12 May 2021.

Legislative Herald of Georgia (2021). Law of Georgia on Electronic Documents and Electronic Trust Services, <https://matsne.gov.ge/en/document/view/3654557?publication=0>, accessed on 12 May 2021.

Legislative Herald of Georgia (2021). Law on the Legal Entity called the Digital Governance Agency, <https://matsne.gov.ge/en/document/view/4893222?publication=0>, accessed on 12 May 2021.

Legislative Herald of Georgia (2021). Law of Georgia on the Rights of Persons with Disabilities, <https://matsne.gov.ge/en/document/view/4923984?publication=0>, accessed on 12 May 2021.

Meyerhoff Nielsen, M. (2017). 'E-Governance and Cooperation Models for Online Service Supply and Citizen Use: A Comparative Analysis of Denmark and Japan'. Edited by Q. Zhu and N. Edlmann. JeDEM - Journal of EDemocracy and Open Government, CeDEM Issue: Best Papers from CeDEM Asia 16 and CeDEM17 Conferences 9 (2): 68–107. <https://doi.org/10.29379/jedem.v9i2.487>.

Meyerhoff Nielsen, M. and Yasouka, M. (2014). 'An Analysis of the Danish Approach to EGovernment Benefit Realisation'. In Internet Technologies and Society 2014 Conference Proceedings, 47–58. New Jersey: IEEE.

Obi, T. (2012). 'WASEDA - IAC International e-Government Index'. Tokyo: Waseda University and IAC International Agency of CIO.

Obi, T.. (2016). 'WASEDA - IAC International e-Government Index'. Edited by Graduate School of Asia-Pacific Studies Toshio Obi Laboratory. Tokyo: Waseda University.

Public Defender of Georgia (2018). Annual Report of the Public Defender of Georgia: The Situation of Human Rights and Freedoms in Georgia, accessed 1 November 2020, <http://ombudsman.ge/res/docs/2019101108583612469.pdf>

UNDESA - United Nations Department of Economic and Social Affairs (2008). 'E-Government Survey 2008: From e-Government to Connected Government'. New York: United Nations.

UNDESA - United Nations Department of Economic and Social Affairs (2016). 'E-Government Survey 2016: E-Government in Support of Sustainable Development'. New York: United Nations.

UNDESA - United Nations Department of Economic and Social Affairs (2018). 'United Nations E-Government Survey 2018: Gearing E-Government to Support Transformation towards Sustainable and Resilient Societies'. New York.

UNDP - United Nations Development Programme, Georgia (2020). Protecting the Rights of Persons with Disabilities, accessed 1 November 2020, https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/projects/persons_with_disabilities.html

UNDP - United Nations Development Programme,, Georgia (2019a). Despite legal reforms, barriers remain for persons with disabilities, accessed on 1 November 2020, <https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/presscenter/pressreleases/2019/PwD-Day-2019.html>

UNDP - United Nations Development Programme,, Georgia (2019b). Implementation of the national strategy for the protection of human rights in Georgia, 2014-2020, accessed 1 November 2020, <https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/publications/Georgia-human-rights-2019.html>

UNDP - United Nations Development Programme, Georgia (2019c). Georgia's civil society to monitor UN disability convention, accessed 1 November 2020, <https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/presscenter/pressreleases/2019/civil-society-to-monitor-UNCRPD.html>

UNICEF, Georgia (2020). Children with disabilities, access on 1 November 2020 https://www.unicef.org/georgia/topics/children-disabilities?items_per_page=25

Web accessibility for People with Disabilities in Georgia (2021).

World Bank (2020). Disability Inclusion, accessed on 10 November 2020, <https://www.worldbank.org/en/topic/disability#:~:text=Results-,One%20billion%20people%2C%20or%2015%25%20of%20the%20world's%20population%2C,million%20people%2C%20experience%20significant%20disabilities.>

